წლიწადი მეორე ფასი 7 კაპ. შაბათი, 3 ქრისტეშობისთვე 1916 წ. № 270

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
[illegible] სტრიქონი [illegible] პეტიტით დირს 15 [illegible] კნელზე—10 კ., [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებითი № ღირს ყველგან 10 კაპ.


ქართულ დრამატიულ საზოგადების
## გამგეობა
აუწყებს ბ-ნ წევრთ:
ამა წლის სამშაბათს, 6 ქრისტეშობისთვეს, სალ. 8 ს., სახოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია
## საზოგადო კრება
განსახილველი საგნები:
1) გამგეობის წლიური ანგარიში და მოხსენება.
2) პენსიონერთა საკითხი.
3) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.
(5—276—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
შაბათს, 3 ქრისტეშობისთვეს,
## სიმფონიური ორკესტრი
სტუმრები საზოგადო წესით. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს.
(1—277—1)

## საბურთალოზე
(საგამაშვილო თხინვალის აგარაკი)
### სამოსახლოების მყიდველთა საყურადღებოთ
ჩვენ დავსჭერით და გავჭყიდეთ ადგილები, ძლიერ იაფად საბურთალოზე, რადგანაც ამას გვაიძულებდა გარემოება... მაგრამ მიუხედავათ ამისა, ხვედრი ფული მაინც თავ-თავის ვადაზე არ შემოდის, ამისათვის ერთხელ და უკანასკნელად კიდევ ვაცხადებთ საყოველთაოთ, ვინც მთელი სამოსახლოს ღირებულობის ათი თვის ხვედრს შემოსატანს ფულს არ წარმოადგენს, ამ 1917 წლის პირველ იანვრამდინ, მათ ადგილის დასაკვეთად შემოტანილი ბეიც აღარ დაუბრუნდებათ და დაკვეთილი სამოსახლო ადგილებიც აუცილებლად ჩამოერთმევათ და სხვა პირებზედ დაიყიდება.
ამასთანავე ვაცხადებთ, ვისაც სამოსახლოების შეძენა სურს საბურთალოზედ, 1917 წლის პირველ იანვრიდან მობრძანდენ იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა № 5 წიგნის მაღაზია „ცოდნა" და შეიძინონ დატოვებული ადგილები.
ივანე ზაალის ძე სვანიშვილი, იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე და ხევასკა მიხეილის ძე გაჩეჩილაძე.
(10)

ქ. თბილისში დაარსდა
## მელნის ქარხანა
## „ალაროდია"
ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას
პირველხარისხ ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.
ლაზარეთებს ⁊ სამხედრო დაწესებულებათ ფასდაკლებით დაეთმობათ.
მელანი პირის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება
ადგილობრივ თუ გაგზავნით.
საჭიროა აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც.
მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია".
(თ.—228—თ.)

საუკეთესო, თავანკარა
## კახური ღვინო
მოიკითხეთ სარდაფში
## „ზ ვ ა რ ი"
პატრონობით მ. ნ. ეგორაძე და ნ. გ. ბადაშვილი.
თბილისი: ცეროვანი ქუჩა № 1 (ვორონცოვის ძეგლიდან მიხეილის ქუჩის პირველ მისახვევში, მარჯვნივ).
(თვ.)

პირველი ხარისხოვანი კონდიტერია
## კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მშვენიერ სატანტო ქალაქთა რესტორნებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)
—
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

უოველ დღე მზადდება
| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოეთის ხაჭმელები, კარაქი, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატრონობით ხად. ს. გიგინეიშვილი.

## გამოვიდა და იყიდება
ქ. შ. წ. კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში
## „ზ რ დ ე მ ლ ი"
ახალი წიგნი. ფასი 2 მან. 50 კაპ.
(5—267—3) გამოცემა ქ. სიტყვა-კაზმულ მწერ. საზოგადოებისა.




„ფრანციის" ნომრების ქვეშ, ზუბალის ქუჩა.
მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეს: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი" და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში" სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგადით ამზადებს.
სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი
პატრონობით „კაფე-პარიზის" წინანდელი მწარმოებელი დიმიტრი უს. მიმინეიშვილი და ნ. გ. ძურთამური
(ტ. 253)

გამოცემა „ამხანაგობისა"
გამოვიდა ⁊ იყიდება ყველგან
## „ბედი ქართლისა"
## ნიკ. ბარათაშვილის
სრული ფაქსიმილე
ფასი ერთი მანეთი.



წიგნი წარმოადგენს სრულს ასლს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერისას (ვეზირიშვილის ვარიანტი).
ვისაც ფოსტით უნდა გამოწერა, უნდა მიმართოს: Тифлисъ Бол. Ванкская № 12. ივანე მათეს ძეს ნაცვლიშვილს.

## ექიმი
## ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს უოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრიანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ტრამვაის „914" და „606"
შეუხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
## გ. ი. ფარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს შუადღე დღე კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, პეტინსკაია ქ. № 4.
(თ.—202—)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
## კალანდარიშვილი
უოფილი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს
ოლღას ქ. № 3.

ქალთა-დოსტაქარი
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—8 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
## კ. ი. ფარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.


## კულტურული ავტონომია

არიან იდეები, რომელნიც მიცვალებულნი იბადებიან უდღეო ბავშვებივით. არიან იდეები, რომელნიც უდროოდ განწირულ არსებებს ჰგვანან, ცხოვრებაში ლანდებივით მიმოდიან და მოულოდნელად ჰქრებიან, როცა გონებრივი სინათლის ძალა ოდნავ მატულობს. მათი გაქრობა ჩვეულებრივ არავისში იწვევს გულისტკივილსა და მწუხარებას.

ასეთია სხვათა შორის ეგრეთ წოდებული კულტურული ავტონომიის იდეა. თუ არ ვსცდებით, ეს იდეა პირველად ავსტრიელი და რუსი ებრაელების თავში დაიბადა. ალბად ამიტომ ატყვია ასე აშკარად მშრალი სქოლასტიკისა, ტალმუდისა და კაბასტური აზროვნების ბეჭედი. რუს და ევროპიელ ებრაელებს სამშობლო არ აქვთ მას შემდეგ, რაც რომაელმა იმპერატორმა ტიტემ ერუსალიმი დაანგრია და პალესტინის მცხოვრებნი დედამიწის ზურგზე გაჰფანტა. მაგრამ ამ გაბნეულ და უმიწაწყლო ხალხს საერთო რელიგია და ტომობრივი თვისებები აკავშირებს. ამას გარდა ერთი ნაწილი შერეულ გერმანულ ენას, ეგრეთ წოდებულ ჟარგონს ლაპარაკობს. ბუნებრივია და ადვილად გასაგები, რომ ხალხი, რომელსაც ეროვნული კულტურის აღაყვავებლად და პოლიტიკური თვითმართველობის მოსაპოებლად ძირითადი საფუძველი, ტერიტორია, არ გააჩნია, ძალაუნებურად შერჩენილ სულიერ ძალებს ეყრდნობა ე. ი. ძველსა და დამთავრებულს სარწმუნოებრივს სისტემას და უსუსურსა და ნაკლებ კულტუროსან კილოკავს. აქედან გამომდინარეობს უცნარი იდეა კულტურული ავტონომიისა. რუსის ებრაელობის შეგნებული ნაწილი სარწმუნოების თავისუფლებასა და ეროვნული სკოლის განმტკიცებას ითხოვს მიტომ, რომ პოლიტიკური ავტონომიისა ან დამოუკიდებლობისათვის სამშობლო მიწაწყალი არ გააჩნია.

საქართველოში კულტურული ავტონომიის იდეა შემოიტანეს ადამიანებმა, რომელთაც სხვაფრივ უიდეალობასა და უაზრობას ვერ დავუწამებთ, მაგრამ დიდი უმწეობა კი გამოიჩინეს ეროვნული საკითხის გადაჭრაში. რა აქვს ჩვენ ცხოვრებასთან საერთო ამ უცხო იდეას? მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ შერჩენილი გვაქვს ეროვნული ტერიტორია, თუმცა კარგა ხანია ზოგიერთი დაპატიჟებული და დაუპატიჟებელი სტუმარი გვედავება. ჩვენი შეურყეველი უფლება ამ ტერიტორიაზე ჩვენმა წინაპრებმა განამტკიცეს საუკუნოებრივი შრომითა და სისხლის ღვრით. არა თუ შეკვეცილი ავტონომია, სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც კი გვქონია წარსულში. მას შემდეგ არც ისე დიდი ხანია. არ შეიძლება ითქვას, რომ სრული ერთობა გამოგვეჩინოს პოლიტიკურ მართვა-გამგეობაში. პირიქით ერთს დროს დიდი და ძლიერი სახელმწიფო გვქონდა და არა თუ თანამემამულეებს, დაპყრობილ ტომებსაც კი ბრძნულად განვაგებდით. დღეს რად უნდა გამოვიჩინოთ თავის თავისადმი უნდობლობა და ისეთი რამ რად უნდა მოვითხოვოთ რაც ამ ქვეყნად არავის აკმაყოფილებს, გარდა უმიწაწყლო, მუდმივ მოხეტიალე ხალხისა?

მართლაც და რა არის ეს კულტურული ავტონომია? მაღალფარდოვან სახელწოდებაში ხშირად უბადრუკი შინაარსი იფარება. ლოღიკური ანალიზია საჭირო, რომ სიტყვებმა და ილუზიებმა არ მოგვატყუოს. ყოველი ნამდვილი ეროვნული კულტურა ავტონომიურია თავისთავად. კიდევ მეტი: ყოველი ფესვმაგარი და ახოვანი ეროვნული კულტურა არსებითად დამოუკიდებელიც არის. თუ ხალხს კულტურული ავტონომიისთვის არ მიუღწევია, თუმას თავისი თავი არ შეუგნია ⁊ ეს შეგნება თავისებურად არ გამოუხატავს, ღირსიც არ არის სახელმწიფოებრივი თვითმართველობისა. რა აზრი აქვს ისეთი ხალხის პოლიტიკურ თვითმართველობასა და დამოუკიდებლობას, რომელსაც არც კულტუროსანი ენა აქვს, არც თავისებური ზნე-ჩვეულებები, არც განვითარებული ლიტერატურა, ხელოვნება და სოფლმეურნეობა. ასეთ ხალხს პირველი გამვლელი დეპუტატონება, ისე რომ მისვე შეგნებაც კი არ აღშფოთდება.

ეს სულიერი თავისებურობა თუ ავტონომია ქართველებს უკვე დიდი ხანია გვაქვს და დიდი ახირება იქნება და რომ მის მოსაპოვებლად პარტიული კონფერენციები გვემართა, რეზოლიუციები გვეთხზა და ბრძოლა გაგვეჩაღებინა. ღია კარებში ხმალ-ამოწვდილი ვინ იქნება, გარდა ფეთიანი ადამიანისა?

უეჭველია რომ ჩვენი თანამემამულენი, კულტურულ ავტონომიას რომ ითხოვენ, სულ სხვა რამეს გულისხმობენ და არა იმას, რაც თავისთავად იგულისხმება: ისინი არსებითად ებრაელ ბუნდისტებივით მხოლოდ ეროვნული სკოლისა და რელიგიური კულტის უზრუნველყოფას ითხოვენ. ეს ჰლექიანი ადამიანის მოთხოვნილებაა, გარეთ რომ ვერ გამოსულა და სარკმელს აღებს ცოტაოდენი თავისუფალი ჰაერის შესაშვებად.

ეროვნულ სკოლასა და ავტოკეფალურ ეკლესიას დიდი აზრი და დიდი ძალა არ აქვს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარეშე. ოსმალეთ სომხებს ერთიც ჰქონდათ და მეორეც. მაგრამ ამ გარემოებამ ეს ხალხი სრულიადაც ვერ დაიფარა დარბევისა და განადგურებისაგან. კათოლიკოსსა და სახალხო მასწავლებელს არ ძალუძს ეროვნული ტერიტორიისა და სახელმწიფოს ანაზღაურება. თავისთავად ცხადია რომ ეროვნული სწავლა-განათლების მნიშვნელობა განახევრდება თუ ადმინისტრაციისა, სასამართლოსა, ვაჭრობა მრეწველობასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაში უცხო ენა იქნება გაბატონებული. ცხადია ისიც, რომ სამღვდელოება ადრინდელ ავტორიტეტსა და გავლენას ვეღარ მოიპოვებენ ელექტრონისა და ორთქლის მანქანის ეპოქაში. პოლიტიკური თვალსაზრისით სასურველიც არ არის რომ უზომო ქონება და ძალა ერთს რომელიმე განცალკევებულ წოდების ხელში ჩავარდეს. მით უმეტეს, თუ ეს წოდება თანამედროვე კულტურის სიმაღლეზე არა სდგას. აქედან ცხადია რომ ეროვნული სკოლა მხოლოდ გარდამავალი საფეხურია უფრო გაფართოებული თავისუფლების მისაღწევად, ავტოკეფალიის მოთხოვნას კი დროებითი ხასიათი აქვს და მხოლოდ იქამდე აქვს აზრი, სანამ ჩვენი ეროვნული სიმდიდრე სხვის ხელში იმყოფება.

ეროვნულ უფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა როცა ის პოლიტიკური ხასიათის უფლებაა და განსაზღვრულ ტერიტორიაზეა დაყრდნობილი. არსებობს მხოლოდ ეროვნულ - ტერიტორიული სახელმწიფო; კულტურული თვითმართველობა და სხვა ასეთი ფანტაზიები უქმი ოცნების ნაყოფია. ეროვნული მუზეუმებისა, თეატრებისა და წიგნთსაცავების მოსაწყობად და სამართავად განსაკუთრებული კონსტიტუციები როდია საჭირო: ასეთ უფლებას დაბეჩავებულ ერებსაც კი აძლევენ.

მაგრამ ჩვენში მოიპოვებიან პუბლიცისტები, რომელნიც სტატისტიკური საბუთებით ამტკიცებენ, რომ ქართველ ხალხს არ მოეპოება ნათლად შემოფარგლული ეროვნული ტერიტორია. მესამე დასის ზოგიერთი მეთაური იმ აზრისაა, რომ ჩვენი ისტორიული მიწაწყალი არაჩვეულებრივად აჭრელებულია, რომ ჩვენი სამშობლოს ერთი მესამედი უცხოელებით არის დასახლებული. გულჩვილებულ ჰუმანისტებსა და ინტერნაციონალისტებს ეშინიათ რომ უმცირესობა უმრავლესობის მიერ არ დაიჩაგროს მომავალ თვითმმართველ საქართველოში. ამიტომ გადაჭრით უარჰყოფენ საქართველოს პოლიტიკური უფლებების დაფუძნებას ტერიტორიის ნიადაგზე.

ახირებული რეზონია! იმის შიშით რომ შემოხიზნული უცხოელები ოდესმე არ დაიჩაგრონ, დღეს დაჩაგრულ თანამემამულეებზე ვერ გვიფიქრია. ვინ გვავალებს მთელი ქვეყნის ბედნიერებისთვის ზრუნვას, როცა თვით ჩვენი სამშობლო ბედშავს მდგომარეობაში იმყოფება? მხოლოდ ყალბსა და ცალმხრივ მორალს შეუძლიან შორეულის საყვარელი მახლობლის სიყვარულზე მაღლა დააყენოს: ასეთ მორალში არაფერია ადამიანური. ესეც არ იყოს არაფერი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ შემოხიზნული ან ჩამოთესლილი უცხოელები მომავალ საქართველოში ნაკლებ უზრუნველყოფილნი იქნებიან, ვიდრე ძველს საქართველოში იყვნენ; ყოველს შემთხვევაში სრული უფლება ექნებათ უფრო ბედნიერი ქვეყნები მოსძებნონ, თუ ჩვენი სამშობლო ჰავა მათთვის შეუფერებელი გახდება.

ყალბია მორალი, ყალბია სტატისტიკაც. უცილობელია, რომ ჩვენი მიწაწყალი ბოლო დროს აჭრელდა და ჩვენს სახლკარში ისეთი ელემენტები შემოიჭრა, რომელთა სიახლოვე სრულიადაც არ არის სასურველი. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო აღთქმულ ქვეყნად გადაქცეულიყოს ქართველობისათვის. ცოტა არ იყოს ნაადრევია იგრევიას გოდება. განა ბერძნებისა, ბულგარელებისა, სერბებისა, ალბანელებისა და სხვა ჩაგრული ერების ტერიტორია აჭრელებული არ იყო სანამ ოსმალეთი ჰფლობდა? მაგრამ ბალკანეთის ქრისტიანულმა ერებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს და მათი მიწაწყალი ბუნებრივად გაიწმინდა ნელ-ნელა. ასე ხდება ყველგან. პოლიტიკურს თავისუფლებას ყველგან ტერიტორიის განწმენდა მოსდევს. ჯერ უცხოელი ხელისუფლები მიდიან მერმე უცხოელი ჩარჩები; ბოლოს ყველა ისინი, ვინც ეროვნულ ნებას-ყოფას არ ემორჩილებიან.

გერონტი ქიქოძე.

# აწინდელ ვითარებაზე

მთავრობასა და საკანონმდებლო დაწესებულებათა შორის ჩამოვარდნილი განხეთქილების მიზეზი დღეს დაფარული არავისათვისაა. საერთო მდგომარეობის გათვალისწინებამ ამ შემოდგომაზედ მმართველი წრეები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭიროდ და დროულად იცვნეს სეპარატიულ ზავისთვისაც ეფიქრნათ. და კიდევაც შეუდგნენ ამისთვის ფიქრსა და ზრუნვას. აქ არ გვესაჭიროება იმის გამოძიება, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ასეთი დასკვნა, ან რამდენად სარფა იქნებოდა სეპარატიული ზავი. სავმარისია ვიცოდეთ, რომ ამგვარი მოლაპარაკება სწარმოებდა და რომ რუსეთის მთელი ლიბერალი საზოგადოება ამის წინააღმდეგ კბილებს ილესავდა.

საქმე იქამდისინ მივიდა, რომ საჭირო შეიქმნა ზავის საწინააღმდეგო მანიფესტაციების მოწყობაც რუსეთის მოკავშირეთა დასამშვიდებლად; ამიტომაც სხვა და სხვა წრისა და მიმართულების გამოჩენილი წარმომადგენელნი მარჯვე შემთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ, რომ რუსეთის სახელით პროტესტი არ გამოეცხადებინათ ზოგიერთთა ზავის ჩამოგდების სურვილის წინააღმდეგ; ძალიან ხშირად ასეთ შემთხვევებს ხელოვნურად ჰქმნიდენ კიდეც. ამ მხრივ საყურადღებოა მოსკოვის ქალაქის თავის ჩელნოკოვის განცხადება ქალაქის საბჭოს პირველ გიორგობისთვის სხდომაზე, სადაც დიდის პატივით დაადგინეს ინგლისის ელჩისთვის, ლორდ ბიუკენენისთვის, მოსკოვის საპატიო მოქალაქედ არჩევის „გრამოტა" საგანგებო ტიპულაციის ხელით პეტროგრადს გაეგზავნათ.

ამ სხდომაზედ, ლორდ ბიუკენენისა და მთელ ინგლისისადმი მიმართულ სიტყვაში ჩელნოკოვმა განაცხადა: „ჩვენ უარვყოფთ სეპარატიულ ზავის შესაძლებლობას, მეტიც! ჩვენ უარვყოფთ სეპარატიულ ზავის შესაძლებლობის წარმოდგენასაც კი. ჩვენ მზადა ვართ იქ, ბრძოლის ველზე, მთელის ჩვენის ძალღონით ჯარს მივეშველნეთ, ხოლო აქ შევებრძოლოთ გერმანეთის იმ მეგობრებს, რომელნიც ორსავე ჩვენს ქვეყანაში, ხოლო განსაკუთრებით ჩვენში, რუსეთში, ყოველ ღონეს ღონობენ, რომ ინგლისის წინააღმდეგ როგორმე საზოგადოებრივი აზრი ააჯანყონო!" ერთის სიტყვით, რუსეთში ყოველგან ზავის წინააღმდეგ იყო ლაპარაკი და, პურიშკევიჩის თქმისა არ იყოს, სადაც ბევრს ლაპარაკობენ ზავი არ იქნებაო, იქ, ეჭვს გარეშეა, არის ვინმე ისეთი, ვინც დაჟინებით ზავის ჩამოგდებას მოითხოვს!

ამის შემდეგ ცხადი იყო, მთავრობისა და საკანონმდებლო დაწესებულებათა შეხვედრა ახდილის დუელით დაიწყებოდა. მოპირდაპირენი წინასწარად მომზადდნენ. სათათბიროს ფრაქციათა სულიერი განწყობილება და გადაწყვეტილება სათათბიროს მოწვევამდეც გამოირკვა. ყველანი ზავის წინააღმდეგ იყვნენ, რაიცა სათათბიროს პირველსავე სხდომაზედ კატეგორიულად იქმნა გამოთქმული. სათათბიროს თავმჯდომარეც, პროგრესიული ბლოკიც და ნაციონალისტებიც, ყველანი გადაჭრით აცხადებდნენ, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო გერმანიასთან სეპარატიული ზავის ჩამოგდება, რომ ამაზედ ოცნებაც კი სახელმწიფო ღალატი და დანაშაული იქნებოდა.

მილიუკოვის გამოსვლა ხომ გვირგვინი იყო ამ სულიერი განწყობილებისა. წილი ნაყარი იყო! მთელი პოლიტიკური რუსეთი ერთი ლოზუნგის გარშემო დაირაზმა. შორიდან, გარეგნულად მაინც, ასე მოსჩანდა. რადგან ყველა გაიძახოდა, სეპარატიული ზავის ოინები იმის შედეგია, რომ მთავრობა თავის მოქმედებაში ხალხის წინაშე არ არის პასუხის მგებელიო, მოსალოდნელი იყო, რომ ეს პოლიტიკური ბლოკი მტკიცედ მოითხოვდა პასუხისმგებელ სამინისტროს. სხვა გზა არ უნდა ყოფილიყო. როდესაც მთელი პოლიტიკური რუსეთი სახელმწიფოს დაცვის საქმეში მთავრობას უნდობლობას უცხადებს და მოურიდებელი იერიშებიც მიაქვს მასზედ, ამ ვითარებიდან მიზან შეწონილი დასკვნაც ისეთი სამინისტროს შექმნა უნდა ყოფილიყო, რომელიც ხალხის წარმომადგენლობის ნდობით იქნებოდა აღჭურვილი და რომელიც, რა წამსაც ეს ნდობა დაეკარგებოდა, უჭირვეულოდ თვის ადგილიდან გადადგებოდა. სახუმარო საქმე არ იყო! ეს ნამდვილი პარლამენტული რეჟიმის დამყარება იქნებოდა და ამისთვის თავის გამოდება ღირდა, ეს სავალდებულოც იყო, რაკი ერთხელ საკითხი ასე გადაჭრით დაისვა. რადგან მთელი პოლიტიკური რუსეთი ამაში იყო დარწმუნებული, რადგან ყველას „ომი გამარჯვებამდე" ჰქონდა მიზნად დასახული, ხოლო ომისთვის წლობით მოსილი და პასუხისმგებელი სამინისტრო ყველას აუცილებელ პირობად მიაჩნდა, ცხადია, ყველა პოლიტიკური პარტია და ფრაქცია მზად უნდა ყოფილიყო ზოგი რამ თავ-თავისი პარტიული და ფრაქციული ინტერესიდან მაღალ პატრიოტიზმისთვის შეეწირა და ამ მსხვერპლის სამაგიეროდ მოეპოვა ტკბილი სიამოვნება სახელმწიფოს მართვის მძიმე ლოდი მასაც ეზიდნა! ყველაფერი ეს დიდ რისკთან და პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ნუ თუ მთელი რუსეთის პოლიტიკური ჭკუა, სინდისი და ძალღონე იმდენად წინდაუხედავი, კნინი და ჩლუნგი უნდა ყოფილიყო, რომ ამას ადრე ვერ მიხვედრილიყო, უფრო ადრე, ვიდრე მთავრობასთან აშკარა განხეთქილებას ჩამოაგდებდა?! თურმე ასე ყოფილა! ქვეყნის განსაცდელის ლიკვიდაცია თავის თავზე შეგნებულად მთელი პასუხისმგებლობის მიღებით შეუძლიანთ მხოლოდ რჩეულთ. და რუსეთი რჩეულთა ქვეყნად ვერ გამოგვეცხადა. იმედი, რასაკვირველია, არავის გაუცრუვდებოდა. გამბეტებს მხოლოდ საფრანგეთი მოცემიან. პასუხისმგების შიშის წინაშე პოლიტიკური ბლოკი გასქდა, დიდმა უმეტესობამ ხელი აიღო სახაფათო მოთხოვნაზე, პასუხისმგებელ სამინისტროზე. პოლიტიკური აზრი დაიბნა: ვინ ალმა გზას, ვინ დალმა დაჰყვა. ხოლო ყველამ ერთად მთავრობასაც ხელი მოუცარა და მოქმედება საერთოდ გაუძნელა. პოლიტიკური რუსეთი არ ყოფილა და არც არის. და მძიმედ დატვირთულ სახელმწიფოს ხომალდს ისევ ისე მესაჭეობს იგივე მთავრობა, რომელსაც უტაქტოდ და უხეშად ბრალდებანი და საყვედურნი მიახალეს. და ამ უცნაურს ყოფაში გადიან დღენი!

ს. ქ.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ორ სამ დღის წინად ავსტრიელნი და გერმანელნი ქ. ბუზეოს მდ. ბუზეოთი, მდ. კრიკოვით და ქ. მიზილის სამხრეთით გამაგრებულნი უტევდენ. მათი მიზანი, რასაკვირველია, ამ ფრიად მნიშვნელოვან ბაზის აღება იყო. გუშინდელ ოფიციალ დეპეშის გადმოცემით, რუმინელთ უკვე დაუტოვებიათ მთელი აღმოსავლეთით მდებარე მიდამო და ახლა ქ. ბუზეო-სარინგა-ურზ ჩენის ხაზზე გადმოსულან. მაშასადამე, ახლა მოპირდაპირე ზედ ქალაქზედ იქნება მიმდგარი და ამ ქალაქის ბედიც სულ მოკლე ხანში გადაწყდება. ბუზეოს დაკარგვის შემდეგ, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, რუმინელნი იძულებულნი გახდებიან მთელი დიდი ვლახეთი დასტოვონ და მდ. სერეტს და დუნაის ამოეფარონ. ხუთშაბ თის ნომერში ქ. ბუზეოს შესახებ ჩვენ შემდეგსა ვწერდით: „გენ. ფალკენჰაინს და გენ. მარგენს, რომელნიც ამ მიდამოებში მოქმედებენ, უპირველესად ქ. ბუზეოს ემუქრებიან. ჩვენ ორ-სამ დღეში უკვე გავიგებთ ამ მიდამოში დიდი ბრძოლის დაწყებას. დანამდვილებით კი ამ ბრძოლას გადასწყვეტს უფრო ის სამხრეთით მომქმედი არმია გენ. დელმენზინგენისა, რომელმაც ქ. ბუქარესტი აიღო. თუ უკანასკნელმა აქაც შესძლო ბრძოლის პირის გარღვევა, მაშინ რუმინელნი იძულებულნი იქნებიან დასცალონ როგორც ქ. ბუზეო, აგრეთვე მთელი მიდამო, ქ. მიზილიდან მოყოლებული მდ. ბუზეომდე და დაიხიონ მდ. სერეტზე". ოფიციალი დეპეშა გვატყობინებს: „ჩისლაუს სამხრეთით მოპირდაპირე უტევს რუმინელთ, უკანასკნელნი აღმოსავლეთით იხევენ. მიზილ-ბუზეოს შარაგზის სამხრეთით რუმინელთ, უკან დაიბრუნეს რამდენიმე სოფელი, მაგრამ მტერი იერიშებით წამოვიდა და იძულებული გახადა უკან დაეხიენათ. ახლახან რუმინეთის ჯარი ბუზეო-სარინგა-ურზიჩენის ხაზზე გადადის". აქ მოყვანილ ცნობებიდან ნათლად სჩანს, რომ ქ. ბუზეოს მოპირდაპირე სამხრეთით უვლის და მთავარ როლს ნამდვილად გენ. დელმენზინგენი ასრულებს. უკანასკნელის შეტევას მიტომ აქვს უფრო მთავარი მნიშვნელობა, რომ მას საშუალება ეძლევა რუმინეთის ჯარი შუაზე გასწყვიტოს და აიძულოს ერთი ნაწილი მოლდავეთის ბრძოლის ველისაკენ იბრუნოს პირი. ჩვენი მოფიქრება რომ გამართლდეს, მაშინ ქ. ბუზეოს ჩრდილოეთით მომქმედ მოპირდაპირის ჯარს უფრო ადვილად შეეძლება ფოქშერის ველისაკენ გალაშქრება. აღმოსავლეთით წამოსულ რუმინელთ ჯარს კი დელმენზინგენი მარცხნით შემოუვლის და პირდაპირ გალაციისაკენ დაეშვება. თვით ქალაქი ბუზეო, უეჭველია, ზურგს გაუმაგრებს, როგორც გალაციისაკენ მიმავალ ლაშქარს, ისე ფოქშერში მომქმედ მოპირდაპირეს. დღევანდლამდინ არავითარი ცნობა არ მოსულა მაკენზენის შესახებ. მას შემდეგ, რაც ბუქარესტი დაეცა, ეს გამოჩენილი მთავარსარდალი საით მიიწევს, არავინ იცის. აგრეთვე არ მოსულა ცნობა დობრუჯის შესახებ. ცნობაა მხოლოდ, რომ ავსტრიელნი და გერმანელები მხოლოდ ჩრდილოეთით იჩენენ აქტიობას და რუმინელთ აღმოსავლეთისაკენ ახევინებენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გერმანელნი განზრახ არიან გაჩუმებულნი როგორც დობრუჯში, ისევე ბუქარესტის აღმოსავლეთით. უფრო მეტს ვიტყვით, რუმინელთა აქედან წასვლა სრულებით ხელსაყრელი არაა მოპირდაპირისათვის. ჩრდილოეთიდან წამოსული ფალკენჰაინი და მისი გენერლები, თუ კი ერთ მხრივ გალაცს მიაღწევენ, მაშინ როგორც დობრუჯში, ისე მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე მდგომი რუმინელთა ჯარი გარს-შემორტყმული რომ არ იქმნეს, თავისით დასტოვებს ამ ადგილებს და რუსეთის საზღვრებზე გადავა.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე მოპირდაპირე თავის მოქმედებას თანდათან უფრო და უფრო აძლიერებს. ოფიციალ დეპეშის ცნობით მოპირდაპირე ახალ-ახალ ალაგებში იწყებს შეტევას. მდ. ბისტრიცაზე ქ. იეზუპოლთან ავსტრიელთ მდინარის გადასვლაც კი განუზრახავთ. ეს უკვე მნიშვნელოვანი ფაქტია. ქ. იეზუპოლი გალიჩიდან 20 ვერსის მანძილზე მდებარეობს. აქ დაწყებულ იერიშებს ერთი მეტად მარტივი მიზანი აქვს დასახული. მოპირდაპირე ემუქრება იმ რუსეთის ჯარს, რომელიც ტყიან კარპატებშია შეჭრილი და იერიშები მიაქვს შიბენიდან ვალეპუტნამდე. საერთო მდგომარეობის შესახებ ოფიციალი დეპეშა ამბობს, რომ მოპირდაპირე ბალტიის ზღვიდან მოყოლებული რუმინეთამდის მცირე იერიშებს აწარმოებ ო. ცხადია, ასეთი მოქმედება წინამორბედია იმ დიდ და გადამწყვეტ ოპერაციისა, რომელიც რუმინეთის შემდეგ რუსეთის ასპარეზზე უნდა დაიწყოს.

X.

# ომის დეპეშები

2 ქრისტეშობისთვე

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. გუკალოვცეს ტყის მიდამოებში მოპირდაპირე განაგრძობს ზარბაზნების და ყუმბარების მტყორცნელთა სროლას ჩვენი სანგრებისაკენ. პრისოვცეს მიდამოებში მოპირდაპირე პომორჟანის ჩრდილო-აღმოსავლეთით იერიშებით მოდის, მაგრამ სროლით ვიგერიებთ. მოპირდაპირემ სცადა იეზუპოლის მიდამოში მდ. ბისტრიცაზე გადმოსვლა, მაგრამ ხელი შევუშალეთ. ტყიან კარპატებში ჩვენმა ჯარმა შ მენის აღმოსავლეთით მდებარე მიდამოებში მტრის ცხარე იერიში მოიგერია. ქალ. კაბოლის მიდამოებში მტრის მოწინავე რაზმებმა სცადეს ჩვენს სანგრებთან უჩუმრად მობარულიყვნენ, მაგრამ სროლით გავფანტეთ. ვალეპუტნის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. მოპირდაპირე აქ მედგარ წინააღმდეგობას უწევს ჩვენი ჯარის იერიშებს. მდ. ტროტუშის ველის სამხრეთით, ასასულის სამხრეთით, 8 ვერსზე მაღლობებზე მდებარე მტრის სანგრები ავიღეთ. ამ ადგილების დასაბრუნებლად მოტანილი მტრის იერიშები მოვიგერიეთ, მტერი დიდათ დავ ზარალეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზზე.** ჩისლაუსთან და მის სამხრეთით მოპირდაპირემ შემოუტია რუმინელებს და აღმოსავლეთისაკენ დაახევინა. მიზილ-ბუზეოს გზატკეცილის სამხრეთით რუმინელებმა შეუტიეს მოპირდაპირეს, რამდენიმე სოფელი დაიბრუნეს, მაგრამ მტრის ჯარი მოუბრუნდა და აღმოსავლეთისაკენ დაახევინა. რუმინეთის ჯარი მდ. ბუზეო-სარინგა-ურ ზიჩენის ხაზზე გადავიდა.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. წარსულ კვირის განმავლობაში ბალტიის ზღვიდან ტყიან კარპატებამდე მზვერავთა და პატარ-პატარა რაზმების მოქმედება სწარმოებდა. ტყიან კარპატებში ჯერ ხშირი ნისლი და მერე თოვლი და ყინვა აფერხებდა ჩვენს მოქმედებას. აქ მოპირდაპირე დრო და დრო მედგარის იერიშებით მოდიოდა; ბრძოლა ცვალებადი იყო. მდ. ტროტუშის, სულტის და ჩობონიაშის ველებში, თუმცა მტერი ცხარედ იბრძვის, მაგრამ მაინც წინ მივიწევთ.

**კავკასიის ასპარეზზე** არსებითი არაფერი მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზი.** 23 გიორგობისთვეს მოპირდაპირემ დაიჭირა რუმინელებისაგან მიტოვებული ბუქარესტი პლოეშტი.

**პეტროგრადი,** 1 ქრისტეშობისთვე. დასავლეთის ასპარეზი. ტარნოპოლ-ზოლოჩევის რკინის გზაზე ჩვენმა მფრინავებმა მარჯვეთ დაუშინეს ყუმბარები პლუხოვის სადგურს და სოფ. ნუშეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ბარგის ურმებს. სოფ. ლიპიცა-დოლნაიას აღმოსავლეთით, პოტუტორის სადგურის მიდამოებში, ზარბაზნებისა და ნაღმების მტყორცნელთა სროლაა. მდ. ნარაიუვკაზე, სოფ. ... მიდამოებში მოპირდაპირე ძლიერი რაზმებით სცდილობდა დაეზვერა, მაგრამ გავფანტეთ.

ტყიან კარპატებში ჩვენი ზარბაზნები მარჯვეთ უშენდნენ დაბა კორისმეზოს, სადაც 7 ადგილას ცეცხლის ალი ავარდა.

კავკასიის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზი.** 29 გიორგობისთვეს მოპირდაპირე რუზეს მიმართულებით იერიშების მიტანას განაგრძობდა. ჩვენი ცხენოსანი და ქვეითი ჯარი უკვე ჩაება ბრძოლაში რუზეს დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით. დასავლეთის მხარეს წინ წაწეული ჩვენი ცხენოსანი ჯარი 29 გიორგობისთვეს ცხარე ბრძოლას აწარმოებდა მტერთან; იგი იბრძოდა ცხენ და ცხენ და ქვეითადაც.

**პარიზი.** პრეზიდენტმა პუანკარემ ხელი მოაწერა სამხედრო მინისტრის მოხსენებას, რომლითაც ფრანგთა ჯარის მთავარსარდალი ჟოფრი ინიშნება ომის საქმეში სატეხნიკო მოთათბირედ. პუანკარემ დაადასტურა აგრეთვე ბრძანება, რომლის ძალითაც განსაზღვრულია უფლებანი ჩრდილო-აღმოსავლეთის და მახლობელ აღმოსავლეთის ლაშქართა მთავარ სარდლისა.

**სტოკჰოლმი.** გერმანეთის რეიხსტაგში კანცლერი დღეს განაცხადებს, რომ დობრუჯი და მაკედონიის დაპყრობილი ნაწილი ბულგარეთის სამეფოს ფარგლებში შედის. ასეთ ნაბიჯს მიზნად აქვს ამ ადგილებში ჯარისკაცები მოაგროვონ.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა, მახლობელი აღმოსავლეთი. მონასტირის ჩრდილოეთით თოვლის გამო სამარი მოქმედება შეჩერებულია, თუმცა ორივე მხარე საშინელს სროლას აწარმოებს ზარბაზნებისას. მტრის საფრენი სტრუმის მიდამოებში გამოჩნდა. ჩვენმა მფრინავებმა დოდრანისა და ვარდარის ველში მტრის ბანაკს ყუმბარები დაუშინეს.

**პარიზი.** გენერალი ნიველი ჩრდილო-აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლად დაინიშნა, ვიცე-ადმირალი გოში პირველ საზღვაო ლაშქრის მთავარსარდლად დაინიშნა დე-ფურნიეს ნაცვლად.

**ლონდონი.** სალამოს ოფიც. ცნობა. გუშინ მტრის სამი საფრენი ჩამოვაგდეთ. ჩვენ ერთი საფრენი დაგვეკარგა.

## საგულისხმო ამბავი

(პეტ. დეპ. სააგ.)

**პარიზი.** გერმანიის შიგნით მოცემულ წინადადების გამო პიშონი „პტი ჟურნალ"-ში სწერს: „თავისი გაბედულ მოღალატურ ფანდებით გერმანეთი და მისი ყურმოჭრილი ყმები საბედისწეროთ ეთამაშებიან სიტყვას „ზავ" და ქვეყნიერების საზოგადოებრივ აზროვნებაში ხშირად გადისვრიან ხოლმე, რათა გულუბრყვილო ხალხს აფიქრებინონ, ვითომც ისინი მზად იყვნენ ხელი აიღონ ყოველგვა-

# ომი ომის შემდეგ

(ევროპა თუ ამერიკა?)

(დასასრული)

ამერიკის შეერთებული შტატები უწინარეს ყოვლისა სამრეწველო ქვეყანაა. მიუხედავად ამისა, მას მიწადმოქმედებაშიაც პირველი ადგილი უჭირავს. მთელს დედამიწის ზურგზე რომ პური მოჰყავთ, ამის მეოთხედი ამერიკას ეკუთვნის. მოყვანილ პურის რაოდენობით ის რუსეთსა სჯობნის და, რასაკვირველია, ყველა სხვა ქვეყნებსაც. ქალაქურ ცხოვრების განვითარებით მიწადმოქმედება აქ კი არ კლებულობს, არამედ კიდევაც მატულობს. ამერიკა სავსეა ქარხნებით და ფაბრიკებით, მაგრამ ის დაფენილია აგრეთვე უტეხი და ულრანი ტყეებით.

კიდევ უფრო თვალსაჩინოა ამერიკის უპირატესობა მრეწველობასა და აღებ-მიცემობაში. ეს ქვეყანა განსაცვიფრებლად მდიდარია მადნეულობით. მისი სანაპიროები მეზღვაურობის განსავითარებლად არის ზედგამოჭრილი, ხოლო მისი ხმელეთი დასერილია რკინის გზებითა და გზატკეცილებით. ამერიკის ეკონომიურ ზრდის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაძლევს პროფ. ოზეროვი, თავისს შრომაში, ამ ათიოდე წლის წინათ, რომ გამოაქვეყნა. ქვა-ნახშირი უპირველესი საფუძველია მრეწველობისა და ამოღებულ ნახშირის რაოდენობით ამერიკამ ჯერ თექვსმეტიოდე წლის წინად გადააჭარბა ინგლისს და მთელს მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ასევეა ფოლადის წარმოებაშიაც. ამ ჟამად ყველა ქვეყნებში სამ მილიარდ ნახევარი ფუთი ფოლადი მზადდება. აქედან ერთ ნახევარი მილიარდი შტატებს ეკუთვნის. ასეთივე განწყობილებაა თუჯის წარმოებაშიაც. ამერიკას აქაც პირველი ადგილი უკავია, მეორე გერმანიას და მესამე ინგლისს. რკინის მადანი ამერიკაში 50 მილიონი ტონი ამოაქვთ, გერმანიაში 26, ინგლისში 15 და რუსეთში 5. სპილენძი ამერიკაში მზადდება 600 მილიონი ფუთი, ყველა სხვა ქვეყნებში კი ერთად 500 მილიონზე ნაკლები. ოქროს წარმოებაშიაც ამერიკამ პირველი ადგილი დაიჭირა. ასევეა ტყვიის წარმოებასა და ნავთის წარმოებაში. 1900 წ. მთელ დედა-მიწის ზურგზე ამოღებული ნავთის 51%—631 მილიონი ფუთი რუსეთის იყო, 42%. 516 მილიონი კი ამერიკის. 1913 წ. მსოფლიო ნავთის წარმოების 63,4%—1854 მილიონი ფუთი უკვე ამერიკას ეკუთვნის და მხოლოდ 19 პროც. კი რუსეთს. რამოდენიმე ცნობა კიდევ მოვიყვანოთ; ამერიკა ყველა სხვა დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით იძლევა—25 პროც. ოქროს. 33 პროც. ვერცხლს, 25 პროც. პურს, 27 პროც. ყველს და ერბოს, 50 პროც. კვერცხს, 78 პროც. ბამბას, 43 პროც. საკვებ მასალას, 31 პროც. თევზს, 58 პროც. ტყავეულობას, 50 პროც. ხეტყის მასალას, 38 პროც. მანუფაქტურულ საქონელს და სხვ. მას აქვს 36 პროც. მსოფლიოს ორთქლის ძალისა, 40 პრ. რკინის გზის ლიანდაგი, 31 პროც. ტელეგრაფის სიმები და სხ. ამავე დროს ამ თხუთმეტიოდე წლის წინეთ ყველა სახელმწიფოების ვალი უდრიდა 35 მილიარდ დოლარს. აქედან ამერიკას ჰქონდა მხოლოდ 1,050 მილიონი, ე. ი. 3 პროც.

საერთო სიმდიდრე, რომ ავიღოთ, მეცნიერთა გამოკვლევით 1800 წელს თითეული ამერიკელის საშუალო სიმდიდრე უდრიდა 209 დოლარს. 1900 წ. ეს სიმდიდრე უდრიდა 1232 დოლარს.

რა არის მიზეზი ამერიკის ესოდენ სიოცარის ქონებრივ განვითარებისა?

ბუნებრივად მდიდარი ქვეყნები სხვაგანაც მოიპოვება, მაგრამ ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობას არსად ასეთს წერტილამდე არ მიუღწევია. ერთი ავტორი—სტედი ამაზე გვიპასუხებს: ჩრდილო-ამერიკაში სხვა და სხვა ეროვნებათა ბუნებრივის შეზავებით წარმოიშვა სრულიად ახალი რასა, ყოველგვარ ცრუმორწმუნეობისა და ძველი დროის სხვა ბორკილებისაგან თავისუფალი. ამასთანავე ამერიკის მთელი სულიერი კულტურა თავს იყრის მრეწველობის გარშემო. გერმანიაში სამხედრო საკითხები ხალხურ ენერგიის დიდს ნაწილს იწირავს. საფრანგეთსა და იტალიაში ხალხის სულიერ ძალას ინელებს ხელოვნება და სარწმუნოებრივი საკითხები. ერთი სიტყვით, ევროპაში ხალხის ენერგია იბნევა სხვა და სხვა მხრივ. ამერიკაში კი საზოგადოების მთელი სულიერი და ფიზიკური ენერგია სიმდიდრის წარმოშობას ხმარდება. ქონებრივ გაძლიერებას ამერიკელები ემსახურებიან მთელი თავისი არსებით და ადვილადაც ამარცხებენ თავის მეტოქეებს, რომელთა ყურადღება სხვა და სხვა საგნებზე მიპყრობილი.

ერთი უცხოელი ჟურნალისტი ამას კიდევ დასძენს: „სიოცარია ეროვნული თავმოყვარეობის გავლენა. გერმანია თავის მწირე ნიადაგით, ვიწრო სანაპიროებით და ღარიბ მდინარეებით კიდევ ოცნებობს პირველობაზე. ფრანგებს ვერ გაუგიათ, რომ მათი სიყვარული ხელოვნებისა, ოჯახისა და მყუდრო ცხოვრებისადმი შეუძლებლად ხდის მათ ოცნებობასაც კი მატერიალურ კულტურაში პირველობის შესახებ. ინგლისელები თავის ვიწრო კუნძულზე კიდევ არ რწმუნდებიან, რომ ინდუსტრიალურ განვითარების პირველობა ბოლოს და ბოლოს უნდა დაიმკვიდროს იმან, ვისაც აქვს ეროვნული ერთობა, ფიზიკური რესურსები, გეოგრაფიული უპირატესობანი, სულიერი ძალა და დაუცხრომელი სურვილი ზრდა-განვითარებისა. მილიარდერი კარნეჯი რჩევასაც კი იძლევა—დაანებეთ 45 ქვეყნის (შეერთებული შტატების) ერთ სახელმწიფოსთან შედარებასო.

ამერიკა გასაოცარის სისწრაფით უტოლდებოდა და კიდევაც უსწრობდა ევროპის სახელმწიფოებს ეკონომიურ ვითარების სხვა და სხვა ასპარეზზე. ეს პროცესი იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ევროპის პოლიტიკოსები სერიოზულად შეუდგნენ იმის გამოკვლევას, თუ როგორ შეერიგებინათ შეურიგებელნი და მთელი ევროპა შეეერთებინათ ამერიკის წინააღმდეგ. დაიწყო ეს საშინელი ომი და ამერიკის ეკონომიური ბატონობის განმტკიცება კიდევ უფრო დაჩქარდა. ევროპის მცხოვრებთა საუკეთესო ნაწილი ბრძოლის ველზეა გაყვანილი და, მაშასადამე, ყოველგვარ ეკონომიურ საქმიანობას დაშორებული. ევროპის დოვლათი საშინლად ნადგურდება. ისედაც დავალიანებული ევროპის ვალები საშინლად იზრდება.

ამავე დროს ევროპის საშიში მეტოქე, ამერიკის შტატები, ომის გარეშე მოხვდა და ისიც გაორკეცებულის ენერგიით განაგრძობს თავის ეკონომიურ პირველობის განმტკიცებას, ის ერთნაირის თავაზიანობით აწვდის საქონელს და უმთავრესად სამხედრო საჭიროების საქონელს ყველა მებრძოლ სახელმწიფოებს. ამერიკის მცირე სახელმწიფო ვალიც ქრება ამ ომის განმავლობაში. თვით მისგან ეხლა ხუთ მილიარდზე მეტი უსესხნიათ ინგლისს, რუსეთსა და გერმანეთს. ამ ომის შედეგები ამერიკისთვის უფრო ნათლად სჩანს შემდეგიდან: 1910 წელს შეერთებულ შტატებს გაუტანიათ 2,049 მილიონი დოლარის საქონელი და შემოუტანიათ 1,527 მილ. დოლ., 1914 წელს გაუტანიათ 2,769 მილიონის, შემოუტანიათ 1,674 მილ., წარსულს წელს კი (1 ივლისი 1915 წ. და 1 ივლ. 1916 წ.) ამერიკას გაუტანია 4,345 მილიონ დოლარის საქონელი და შემოუტანია 2,180 მილიონის. ამ წელს ამერიკის აქტიური სავაჭრო ბალანსი არასოდეს და არსად არ-ხილულ წერტილს აღწევს. ის უდრის 4,345 მილ. დოლარს ნორმალურის კურსით და 7 მილიარდზე მეტს ეხლანდელი კურსით ე. ი. 14 მილიარდ მანეთს. ამ წელს მან გაზიდა 45 პროც. მეტი, ვინემ ინგლისმა რომელსამე წელს გაზიდა. ასეთი ნაყოფი გამოიღო ამერიკისთვის იმ ომმა, რომელიც ევროპის სახელმწიფოთა სიმდიდრეს ჯერ მხოლოდ ანადგურებს. ევროპის ოქროს ფონდების დიდი ნაწილი ამერიკაში გადავიდა. ამ ჟამად მას აქვს 24 მილიარდი მანეთი ოქრო ე. ი. იმდენი, რამდენიც ყველა სხვა ქვეყნებს. ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაბმულ სახელმწიფოებმა ხელი გაუშვეს (ბევრმა სამუდამოდ) იმ სავაჭრო ბაზრებს, რომელთა მოპოვებისთვის ევროპის სახელმწიფოებს არა-ერთი და ორი ომი გადაუხდიათ. ამერიკის ბანკირები, ინჟინრები და კომმისიონერები, გერმანელ და ინგლისელ მეტოქეობისაგან თავისუფალნი, მოედვნენ ნეიტრალურ და თვით მეომარ სახელმწიფოებს, რომელნიც ჯერ ჯერობით ამ დარგში მხოლოდ კონფერენციებს მართავენ და მომავლისთვის გეგმებს ადგენენ. თვით ეკონომიურად მივიწყებულ ჩვენ ქვეყანასაც კი მოსწვდა ამერიკელთა ტალღა. ზოგი მათგანი ჩვენ სამთამადნო სიმდიდრეებს იკვლევს და ზოგი კიდევ ავტომობილთა მიმოსვლის მოწყობას ლამობს.

ამ ოციოდე წლის წინეთ ცნობილმა ამერიკელმა მილიარდერმა და მრავალ უნივერსიტეტის ამშენებელმა ფილანტროპმა კარნეჯიმ სიტყვა წარმოსთქვა სტუდენტების აუდიტორიის წინაშე შემდეგს თემაზე: „ევროპა ამერიკის წინააღმდეგ". კარნეჯი რჩევას აძლევდა ევროპის სახელმწიფოებს,

...რი შეკვრული საშუალებით განადგურებულ, ამოწყვეტილ და დამცრობილ ქვეყანათა დაქუცმაცებასა და დამონავებაზე.

[illegible] „ეკო დე პარი“-ში სწერს: „მოკავშირეებს რომ დაეწყოთ ზავზე მოლაპარაკება, მაშინ გერმანელთა საბაბი მიეცემოდა ისეთი ზავის პირობები წამოეყენებინა, რომელიც ზოგიერთი მოკავშირე სახელმწიფოსათვის უფრო ხელსაყრელი იყო. მაგალითად, დამარცხებულ რუსეთს შორეულ აღმოსავლეთისკენ უნდა ექმნა პირი და მოკავშირეთა შორის არსებული ურთიერთობა დაირღვეოდა. გერმანეთი მერე საფრანგეთის განადგურებას შეუდგებოდა.

სწორედ იმ დღეს, როდესაც გერმანეთი მოისურვებდა პარიზის ხელში ჩაგდებას, მას ველარ გადაარჩენდა კენიგსბერგში შემოსული რუსეთის ჯარი. საფრანგეთს დაირღვეოდა [illegible] შიეშველებინა კორპუსები მარნაზე ბრძოლის წინა დღით. მოკავშირეებმა რომ უარი განუცხადონ გერმანეთს ზავის ჩამოგდებაზე, მაშინ იმპერატორი ვილჰელმი და ჰინდენბურგი გერმანეთის ჯარს და ხალხს მიმართავდა: ჩვენი ბრალი არ არის, რომ ომი კიდევ გრძელდებაო. ამ შეგნებით აღჭურვილნი ჩვენი სიფხიზლე უნდა გავაათკეცოთ. გერმანეთს ჩვეულებად აქვს თავდასხმის მომზადება მოლაპარაკებისა და შეთანხმების დროს. მზაკვრულად დაგებულ მახესა და თავგანწირულ თავდასხმის შუა მეტად მცირე დრო გაივლის. ამის გამო ფხიზლად უნდა ვდარაჯობდეთ როგორც სოლუნის ისე ჩვენს ასპარეზს.

# ახალი სამინისტრო საფრანგეთში

(პ. ტ. ს.)

**პარიზი**, 29 გიორგობისთვე. ახალ სამინისტროს შემადგენლობა ასეთია: მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრია ბრიანი; იუსტიციის და სახალხო განათლებისა—ვივიანი; ფინანსთა—რიბო; შინაგან საქმეთა—მალვი; სამხედრო—ლიოტე; საზღვაო—ლაკაზი; ეროვნული ეკონომიისა—კლემანტელი; სამოქალაქო და სამხედრო ხურსათის გადაზიდვისა—ჰერიო; კოლონიის—დუმერგი; შეიარაღებისა და სამხედრო წარმოებისა—ტომა.

სალამოთი თვისი თანამშრომლებით ბრიანმა რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგინა. დაარსდა სატეხნიკო სამართველონი, სამთამადნო საქმისა და საჰაერო ნაოსნობისა. შესდგა სამხედრო კომიტეტი მინისტრ-პრეზიდენტისა და ფინანსთა, სამხედრო, საზღვაო და შეიარაღების მინისტრებისაგან. კომიტეტის სხდომაზე დასწრების უფლება მთავარსარდალ ჟოფრსაც ეძლევა, როგორც სამხედრო ტეხნიკის მრჩეველს.

ლოიდ-ჯორჯმა დეპეშით გადმოსცა ბრიანს შეურყეველი გადაწყვეტილება კიდევ მეტის ენერგიით განაგრძონ ბრძოლა. ბრიანმაც ამგვარივე პასუხი გასცა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუმინეთი**

კიევის გუბერნიას აუარებელი ლტოლვილი აწყდება რუმინეთიდან. რუმინეთის სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებზე ფეხს ვერ აუქცევს ადამიანი. სადგურები გამოქცეულებით და მათი ბარგი-ბარხანით არის გაჭედილი. რუსეთში ეხლა უფრო უღარიბესი ხალხი იხიზნება, ვისაც ცოტა რამ გააჩნდა ადრევე გამოარიდეს თავი და რუსეთის სამხრეთ-დასავლეთისა და შიდა გუბერნიებს მოაშურეს.

**შორეული აღმოსავლეთი.**

ომის დაწყებიდანვე ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზით აუარებელი საქონელი შემოჰქონდათ ციმბირისა და ევროპის რუსეთისათვის. ჩინეთის რკინის გზაზე მატარებელთა მოძრაობა სამაგალითოდ იყო მოწესრიგებული. ეხლა კი სადგურებზე უშველებელი საქონლის ზვინებია უძრავად ამართული. მილიონ ფუთობით დაბანდებული ნედლი საქონელი სადგურებზე ლპება, მაშინ როდესაც თავსაყრელად ეყოფოდა რუსეთის ქარხნებს.

ევროპის რუსეთისა და ციმბირისათვის გამზადებული საქონელი სამხრეთ ჩინეთის ნავთსადგურებსა და დოირანში მიაქვთ.

საქმის გამოსასწორებლად საჭიროა, რომ რუსეთში გაბნეული ამერიკული ვაგონები მოსკოვ-ვლადივოსტოკის რკინის გზაზე დააბრუნონ. ამ ვაგონებს ავტომატიური ტორმოზები აქვს და დღე-ღამეში 500 ვერსს გაივლის. ვლადივოსტოკიდან მოსკოვამდე 7153 ვერსია. ეხლა ამ გზას ორ თვეს უნდება საქონლის მატარებელი. ამერიკული ვაგონებით კი 18 დღეში მოვა საქონელი მოსკოვში.

ყოველ დღე რომ 150 ვაგონი დაიტვირთოს 360 ათას ფუთს დაიდებს და თვეში 10 მილიონი ფუთი საქონლის გადმოტანა თავისუფლად შეიძლება.

მაგრამ სანამ ეს საქმე მოეწყობოდეს, ჩინეთის რკინის გზის სადგურები დაგროვილ საქონლით იზნიქება და ევროპის რუსეთს უსაჭიროესი მასალები აკლია. (რ. ს.).

**შეერთებული შტატების ფინანსიური მდგომარეობა.**

ფინანსთა მინისტრმა მაკ-ედუმ კონგრესს მოხსენება წარუდგინა, რომელშიაც ამბობს: ერის კეთილდღეობა თვალსაჩინოთ გაუმჯობესდა. ეკონომიური მდგომარეობა ქვეყნისა ამაზე უკეთესი ჯერ არ ყოფილა. მოვალე—ერისაგან, ამერიკა გარდაიქცა კრედიტორ ერად. 17 თვის განმავლობაში, 715 მილიონ დოლლარის ოქრო შეგვეძინა. მომხსენებლის აზრით, ჯარისათვის საჭირო ხარჯმა მომავალ საფინანსო წელს 170 მილიონს უნდა მიაღწიოს, ხოლო ფლოტისამ კი 197 მილიონს.

# უკანასკნელი ცნობები

მიწათმოქმედების მინისტრის თანაშემწე, უმაღლესის ბრძანებით, მიწათმოქმედების მინისტრად დაინიშნა, ხოლო ტყეთა დეპარტამენტის დირექტორად ნ. ნ. გრუდისტოვი მის ამხანაგად.

---

[illegible]

...ფონოს ქვეყ... თუ ევროპის სახელმწიფოები არ შეერთდებიან, მათ მწარე მომავალი მოელისთო,—აფრთხილებდა ის ევროპიელებს. ისინი იძულებული იქნებიან ქონდრის კაცებივით იტრიალონ გოლიათი გულივერის—შეერთებული შტატების—გარშემო. ამერიკელ იანკიმ კარგად უწყოდა, რომ ევროპის სახელმწიფოებს—ინგლისს თუ საფრანგეთს ვილჰელმის ტახტთან ამერიკის საფრთხეც ვერ შეაერთებდა. იქნებ, ამიტომაც იძლეოდა ის ამ რჩევას.

დაბერებულ ევროპას განსაცდელი მოელის და ეს მოსალოდნელი ხიფათი შეიძლება მან თავისივე ხელით განიმზადოს. ვერც ერთი ევროპის სახელმწიფო—ვერც ინგლისი და ვერც გერმანია ვერ გაუწევენ ომის შემდეგ მეტოქეობას მსოფლიო ბაზრებზე გაბატონებულ ამერიკას, თუ, რასაკვირველია, რომელიმე მათგანი ამ ომიდან დასუსტების ნაცვლად დიდათ გაზრდილი და გაძლიერებული არ გამოვიდა. ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის მტკიცე ეკონომიური კავშირი ძნელად განსახორციელებელია და საეჭვოა, რომ ასეთმა კავშირმა, კიდეც რომ განხორციელდეს ის, შესძლოს გერმანეთის განადგურება და ამასთანავე ამერიკის გამკლავებაც.

უფრო სერიოზულ მეტოქეობას გაუწევს ამერიკას გერმანეთი, თუ მან შესძლო თავისი იდეალების განხორციელება. გერმანეთი და ავსტრო-უნგრეთი, პოლონეთი და დაპყრობილი ბელგია, ოსმალეთი ბალკანეთი და სამხრეთ-აზიის ქვეყნები, უკეთუ ერთ [illegible] ლად გადააჭარბებს ძველს ამერიკას სამეურნეო, სამრეწველო თუ სხვაგვარ სიმდიდრეებით.

ეს უზარმაზარი კავშირი გაერთიანებული იქნებოდა ბერლინ-ბაღდადის რკინის გზით, რომელსაც გერმანელნი ასეთის დაჩქარებით აშენებენ. ამაზედ კიდევ მეტი მნიშვნელობა იქმნება მდინარე დუნაისის და რეინის არხით შეერთებას, რომლის მუშაობას გერმანელები ომის დაწყებამდე შესდგომიან. ამ არხის შემწეობით გაერთიანდება ჩრდილოეთის და შავი ზღვები და მით ევროპა და აზია ახალი და მოკლე წყლის გზით გაერთიანდება, რომლის გასაღები გერმანელების ხელში იქმნება. კარნეჯის სიტყვით რომ ვთქვათ, ეს ახალი ამერიკა მართლაც რომ გულივერი იქმნებოდა და მასთან შედარებით დანარჩენი სახელმწიფონი ქონდრის კაცებს დაემსგავსებოდნენ. მაგრამ უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ ასეთი გულივერის შექმნა მხოლოდ გერმანელთა ოცნების ნაყოფია. მაგრამ თუ ასეთი ეკონომიურათ მძლავრი შეერთების შექმნა არ ძალუძს არც ინგლისს და არც გერმანეთს, „ამერიკის საფრთხე“ ევროპისთვის ნამდვილ საფრთხედ უნდა წარმოვიდგინოთ.

შესაძლოა, დაუდგა ალსასრულის ჟამი მოხუც ევროპას, სადაც ცივილიზაცია და პროგრესი ესოდენ დიდხანს ბინადრობდა. ვინ იცის, იქნებ ევროპის სახელმწიფონი ერთმანეთის ნგრევით სამარეს უმზადებენ თვით ევროპას, მის მორალს, ხელოვნებას, ფილოსოფია და გამარჯვებას ანიჭებენ ახალს, მერკანტილურ სულისკვეთებით გამსჭვალულ ამერიკის ცივილიზაციას.

**ალ. ახათიანი.**

# ახალი ამბავი

**სასახლეში**

◆ **მეფის ნაცვალს წარუდგნენ თბ.** სამხედრო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი, რიცხვით 350 კაცი, სასწავლებლის უფროსის გენ. მაიორ ზაგრიუს მეთაურობით. მეფის ნაცვალმა მიულოცა მათ სწავლის დამთავრება და პრაპორშჩიკის ხარისხის მიღება.

**ქართული დაწესებულებანი.**

◆ **ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ** წარსული წლის დამლევს მიწადმოქმედების დეპარტამენტს სთხოვა 11500 მანეთი სხვა და სხვა პრაქტიკული მუშაობის მოსაწყობად. მაგრამ დეპარტამენტმა საზოგადოებას მხოლოდ 2500 მ. გამოუგზავნა და ამრიგად საზოგადოება დიდს გაჭირვებაში ჩავარდა. საზოგადოების საბჭომ მიწადმოქმედების რწმუნებულ ბ-ნ შაჩკოვსკის მიმართა და დახმარება სთხოვა. ბ-ნმა შაჩკოვსკიმ მიწადმოქმედების დეპარტამენტს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც ამბობს, რომ მიუცილებლად საჭიროა საზოგადოების შუამდგომლობა დააკმაყოფილოთ და ფული გამოუგზავნოთ.

◆ **წერა-კითხვის გამავრცელებელ** საზოგადოებას გასულ გიორგობისთვეში შემოსავალი ჰქონდა 23.445 მ. 73 კაპ. ხარჯი 22.842 მან. 72 კაპ. დარჩა 598 მან. 01 კაპ. 1 ქრისტეშობისთვეს საზოგადოებას ჰქონდა: ნაღდი ფული კასაში 598 მან. 01 კ., სახელდახელო ანგარიშით 40.541 მან. 01 კაპ. ვადით შენახული 63.718 მან, %% ქაღალდები 197.913 მან. 50 კ. ვექსილები 107.000 მან. სულ 409.770 მან. 53 კაპ.

◆ **საქვ. მიზნით** თბ. გუბერნატორმა ნება დართო ქ. საქვ. საზოგადოების ახალციხის რაიონულ განყ. 6 ქრისტეშობისთვეს ახალციხესა და აბასთუმანში ყულაბებით ფული შეაგროვოს თვის საშუალებათა გასაძლიერებლად.

**მთავრობის დაწესებულებანი.**

◆ **მეფის ნაცვლის კანცელარიამ** 369,185 მანეთი გადასცა ამიერ-კავკასიის გადმოხვეწილთა დამხმარე კომიტეტს.

◆ **თავმჯდომარის არჩევა.** ამიერ-კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი ზავალიშინი.

**ქალაქის დაწესებულებანი.**

◆ **წყაროების დათვალიერება.** კვირას, 4 ამა თვეს, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა 1 ჯგუფი და ქალაქის ინჟინერი ბ-ნი ქურდიანი მიემგზავრებიან წყაროების დასათვალიერებლად ბულაჩაურში, საიდანაც ქალაქი წყლის გამოყვანას აპირებს.

◆ **ქალაქთა კავშირის** რწმუნებულად ტრაპიზონში გაუმწესებიათ ბ-ნი არ. ჯაჯანაშვილი.

◆ **ქალაქის გამგეობამ დაადგინა,** ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დაბალ მოსამსახურეთ თითოს მისცეს დღიურის სახით 15 კაპ. მომავალ დღესასწაულების განმავლობაში.

◆ **ქალაქის საბჭო** ორშაბათს, 5 ამა თვეს, განიხილავს ბელგიის საზოგადოების წარმომადგენელთა განცხადებას, რომ ქალაქსა და ბელგიის უსახელო საზოგადოების შორის ატეხილი დავა ტრამვაის შესახებ მორიგებით გათავდეს.

**სომეხთა შორის.**

◆ **სომეხთა საქველმოქმედო** საზოგადოებას ფოთში მოსვლია 20 ვაგონი ფქვილი გადმოხვეწილ სომეხთათვის.

**სხვა და სხვა ამბები.**

◆ **საოლქო სასამართლოს** სესია გაემგზავრა ზაქათალას. საქმის განხილვა 16 ქრისტეშობისთვემდე გაგრძელდება.

◆ **ახალი საყმაწვილო ჟურნალი.** ივ. პ. როსტომაშვილს გუბერნატორისათვის უთხოვია, ნება მისცეს ყოველ კვირეული საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი „ბუნება და ცხოვრება“ გამოსცეს მომავალ იანვრიდან.

◆ **ერობათა კავშირის** ამიერ კავკასიის განყოფილებამ გადასწყვიტა რამდენიმე ახალი სასაზრდოვო პუნქტი გახსნას ბრძოლის ასპარეზზე ამ ზამთრისათვის.

◆ **სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების გამგეობამ** დაადგინა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას არ მოუსპოს საქალაქო სკოლების მასწავლებლებს ზედმეტი ჯამაგირი, ომიანობის გამო დანიშნული ქალაქის საბჭოს მიერ.

◆ **თბ. საგუბერნიო წვრილ კრედიტის** კომიტეტმა დაადგინა შეტანილ იქმნას შემდეგი სოფლები შემდეგ შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობაში: 1) ქარელის შემნახველ-გამსესხ. ამხანაგობაში—ს. ს. კინწვისი, ვერდება, ქვემოლეთეთი, კოზესანთობანი, ქანდრები და ქვენათლეგი; 2) მეჩრანის საკრედიტო ამხანაგობაში—ს. ს. პატარი ყანდა, ძველი ყანდა, დამბალო და ქსოვრისი; 3) ერწოს საკრედიტო ამხანაგობაში—ს. ს. ჭალელი, ომარანი, მეგზანი, ხინჩები, ვაშლიანი, ბიტყო და ზურზუნი; 4) ყალამშიის საკრედიტო ამხანაგობაში—ს. ს. კაშკათალა და კაკლიანი.

◆ **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** კრება დანიშნულა შაბათს, 3 ქრისტეშობისთვეს. განსახილველი საგნები იქნება: სარევიზიო კომისიის ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა, საქონლის მომშენებელ ბიუროსი და აგდეევის მოხსენება: სასოფლო-სამეურნეო აღწერა კავკასიაში.

◆ **საბავშვო პიესა.** ჟურნალ „ნაკადული“-ს სარედაქციო კომისიამ განიხილა და მოიწონა ბ-ნ ს. გლახაშვილის მიერ შედგენილი საბავშვო პიესა „ზავშთა სამეფო“. პიესა დაბეჭდილი იქნება აღნიშნულ ჟურნალში.

◆ **კოოპერატივის გაქურდვა.** როგორც თბ. გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ, გაუტეხიათ კოოპერატიული მაღაზია და 1600 მან. საქონელი წაუღიათ. დუშეთის მაზრის უფროსის თ-დ ბარათაშვილის მიერ მიღებულ ზომებით ნაქურდი აღმოაჩინეს გ. სამაშვილის ბინაზე. ეს სამაშვილი წინად ამ კოოპერატივში მსახურებდა თურმე.

◆ **სიძვირესთან ბრძოლა.** 28 გიორგობისთვიდან ახალი კანონი სიძვირესთან საბრძოლველად უკვე ძალაში შესული როგორც რუსეთსა, ისე თბილისშიაც. თანახმად ამ კანონისა, ფასების აწევაში და საქონლის დამალვაში დამნაშავენი 10,000 მან. ჯარიმა გადახდებათ და ან ციხეში დაპატიმრება 1 წლით და 8 თვით. ამ დღეებში სასამართლოს ერთ ბრალმდებელთაგანმა შეიპყრა ქუჩაში ორი ურემი ყველითა და ერბოთი დატვირთული, დუშეთის მაზრიდან ჩამოტანილი. ნაწილი ამ სანოვაგისა უკვე გაეყიდათ, ყველი გირვანქა 80 კაპ. ორთავე მეურმე დაპატიმრეს და სამართალში აძლევენ. ყველა დამალულ საქონელზე ცნობა უნდა ეცნობოს ბრალმდებელთ სასამართლოში, რომელთაც საქონლის პატრონის დაუსწრებლადაც შეუძლიათ გაჩხრეკა საწყობისა. ამ კანონის დარღვევის საკითხი თბ. საოლქო სასამართლოს ეხება.

**ქ. დონის-როსტოვი.**

კვირას, 27 გიორგობისთვეს, აქ გაიმართა ნ. ბარათაშვილის საღამო. დაესწრო როსტოვ-ნახიჩევანში მცხოვრები ქართველობა. საღამო შინაარსიანი იყო.

— ქრისტეშობისთვის 12-თვის ქართველ სტუდენტებს განზრახვა აქვთ გამართონ მორიგი წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნება შოთა დადიანის ორიგინალური დრამა „განწირულნი“. შემდეგ გაიმართება ვრცელი დივერტისმენტი.

— ამ ბოლო ხანებში აქ ძლიერი სიცივე დაიჭირა. ხშირად ცივი ქარი ჰქრის.

— ქალაქში ნავთი ძნელი საშოვნია. მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან.

— ვორონეჟის უნივერსიტეტში მყოფი კავკასიელი სტუდენტები უკვე შეუდგნენ „კავკასიური საღამოს“ მოწყობაზე ზრუნვას. საღამო გაიმართება მხოლოდ კავკასიელ ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ.

**ქუთაისი.**

— ქუთაისის გუბერნიის თითქმის ყველა სოფლებს საქონლის ჭირი მოედო. სოფლით ხალხის ინიციატივით [illegible], რომ ერთი სოფლიდან მეორეში საქონელი არ გადავიდეს და ამით ავადმყოფობა არ გავრცელდეს. სხვა და სხვა ცნობებით დღემდის ქუთ. გუბერნიის სოფლებში მოუკლავთ 176 პირუტყვი.

— [illegible] ქალაქის უფასო სამკურნალოში მუქთათ უცრიან ყვავილს.

**ოზურგეთი.**

ქუთაისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა ოზურგეთის მოქალაქეთა მამასახლისის მოადგილის არჩევნები.

**ხაშური.**

აქ არსდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

**ხობი (ზუგდ. მაზ.)**

ნოჯიხევისა, ხორშისა, ხორგისა, საჯიჯაოს, აბასთუმნისა და ხეთის საზოგადოებათ ნება დართეს [illegible] კომისიამ ხობში სამეურნეო სკოლის დასაარსებლად.

## შეცდომათა გასწორება

ჩვენი გაზეთის № 268, ქართულ პოლკის შესახებ დაბეჭდილ მოწოდებაში შემდეგი შეცდომებია დაბეჭდილი: კომანდირის მეუღლის ს. კვინიხიძისა, უნდა იყოს: კომანდირის მეუღლის ო. ლ. კვინიხიძისა. დაბეჭდილია: გოგჩარის ქუჩა № 8, უნდა იყოს: გოგჩარის ქუჩა № 36.

# ქართველო ვექილებო, შეერთდით!

ადგილობრივს ვექილებს დიდი ბედნიერება ეწიათ.

უმაღლესად ნებადართულია თბილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც ვექილთა ორგანიზაცია, „ნაფიც ვექილთა საბჭოდ“ წოდებული.

ამიერიდან ნაფიც ვექილთა კორპორაციას ენიჭება ფართო თვითმართველობის უფლება, თვით წოდებამ, ამორჩეულ პირთა (საბჭოს) მეოხებით უნდა განაგოს თავისი საქმეები, თვით უნდა იყოს თავის წოდებრივ ცხოვრების ბატონ-პატრონი და კანონმდებელი.

დღეის იქით ნაფიც ვექილთა საბჭოზე იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ პირის ვექილად ჩარიცხვა, წოდებიდან გამორიცხვა, დამნაშავეთა დასჯა და სხვ. და სხვ. ერთის სიტყვით, ყველა ის, რაც დღემდე ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს და საკრებულოს ხელში იყო, რასაც უაღრესი, სიკვდილ-სიცოცხლის მნიშვნელობა აქვს ყველა ვექილისათვის.

და აი, ამ მრავალ-მნიშვნელოვან წუთს ნუ დაივიწყებენ ქართველი ვექილები, შეიგნონ მომენტის სიდიდე, შეერთდნენ, შეჯგუფდნენ, რომ აქაც, როგორც სხვაგან, ნიადაგი არ გამოგვეცალოს, სხვა არ დაგვაჯდეს თავზე.

ნუ დავივიწყებთ, რომ საქმის მეთაურობა თუ სხვას ჩაუვარდა ხელში, ადვილად შესაძლებელია, რომ მალე ჩვენებურს კაცს სულაც მოესპოს საშუალება ვექილთა კორპორაციაში ჩარიცხვისა (ამისთვის ახალს ორგანიზაციას ბევრი საშუალება აქვს და ექნება) და ადვილად შესაძლებელია მალე ძველი წესი (როცა საქმეს მთავრობის ორგანოები განაგებდნენ) ტკბილ მოგონებად გადაგვექცეს...

შევერთდეთ, შევჯგუფდეთ! შევქმნათ ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც ყველა ანგარიშს გაუწევს და თავში ვეღარ ჩაგვიფაჩუნებს. ეს არც ისე ძნელი საქმეა, ამისთვის საკმარისი ძალა და ღონე შეგვწევს, **ოღონდ ერთობა იყოს, ერთსულოვანი მოქმედება!** ნუ იქნება „ნაციონალისტი“ და „კოსმოპოლიტი“, მემარჯვენე და მემარცხენე—**იყოს ერთი ძლიერი ჯგუფი ქართველ ვექილებისა!**

მხოლოდ ამ შემთხვევაში ამოგვედება ხმა, მხოლოდ ასეთის მოქმედების წყალობით მოვიპოვებთ იმ გავლენას და ძალას, რაც სამართლით ჩვენია, ჩვენი უპირიანია ჩვენს დედაქალაქში.

**შეუპოვარი.**

# იაკ. გოგებაშვილის „დედა-ენის“ მეორე ნაწ. შესწორების შესახებ

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას განუზრახავს შესწორება და ცვლილება შეიტანოს გოგებაშვილის „დედა-ენის“ მეორე ნაწილშიაც. საზოგადოების გამგეობას „დედა-ენის“ მეორე ნაწილის შესწორება-გადათვალიერებისა გამო წინასწარ მიწერილობა დაუგზავნია თავის სკოლების მასწავლებელთათვის, რათა მათ თავიანთი აზრი და შეხედულებანი გამოსთქვან „დედა-ენის“ მეორე ნაწილის შესახებ და მოხსენების სახით წერილობით წარუდგინონ საზოგადოების გამგეობას.

სხვისა არ ვიცით და მე კი წარმოუდგენლად მიმაჩნია მოხსენების წარდგენით სახელმძღვანელოების გარჩევა. მოხსენების წარდგენით შეიძლება სხვა რომელიმე საქმე გაირკვეს, და რაც შეეხება სახელმძღვანელოების განხილვას ამ სახით, მე სამძიმოთ მიმაჩნია.

საღ პრინციპებზე შედგენილი სახელმძღვანელო [illegible] და ნაზი ბუნების ბავშვთა მრავალფეროვან სიცოცხლისა; ეს ხომ სარკეა ბავშვთა მგრძნობიარე ბუნებისა. ყოველივე ამის შემდეგ განა შეიძლება მოხსენების წარდგენით სახელმძღვანელოების შესწორება? სახელმძღვანელოს შესახებ დაწერილი მოხსენება რაც უნდა შინაარსიანი და დასაბუთებული იყოს, მაინც უმნიშვნელო ხდება, ვიდრე მას ჩვენ ცოცხალ სიტყვებით და მაგალითებით არ დავასაბუთებთ დაწერილს.

კარგი იქნებოდა, რომ ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. გამგეობა უფრო რეალურს გზას დაადგებოდა განსვენებულ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების განხილვის დროს, ე. ი., კერძოდ სახელმძღვანელოების განსახილველად და მასთან ამ ჟამად განზრახულ „დედა-ენის“ მეორე ნაწილის გადასათვალიერებლად, ზემოხსენებულ საზოგადოების გამგეობა კარგს იზამდა, თუ ამ მიზნის განსახორციელებლად მოიწვევდა თავისი სკოლების უფრო გამოცდილ მასწავლებლებს, რა დროსთვისაც ამას გამგეობა [illegible] სცნობდა. ამ განზრახვით მოწვეული კრება უფრო საყურადღებო და ნაყოფიერი იქნებოდა, ვიდრე მოხსენების სახით მასწავლებლებისაგან წარდგენილი დასაბუთებანი.

საზოგადოების გამგეობა „დედა-ენის“ მეორე ნაწ. განსახილველად მოწვეულ მასწავლებელთა კრების საშუალებით უფრო მიზანს მიაღწევს. ასეთს კრებას თვით მასწავლებლებისათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. სახელმძღვანელოების გადათვალიერების დროს, ერთმანეთის აზრსა და შეხედულებას გაეცნობიან. თუ გამგეობა ასეთს გზას დაადგება და თვით მასწავლებლებს მოიწვევს, ეს უფრო პრაქტიკული იქნება; მოხსენებით კი სახელმძღვანელოს განხილვა, როგორც არის მეორე ნაწილი, „დედა-ენისა“, უმნიშვნელო იქნება. ასეთი კრების მოსაწვევათ შესაფერისია საშობაო უქმეები, ასეთი კრება საკმარისია 4—5 დღეს გაგრძელდეს. ამ გზით განხილული სახელმძღვანელო უფრო დასაბუთებული იქნება.

მე კრების მოწვევას ამ საქმის გამო საჭიროთ იმ მოსაზრებითა ვცნობ, რომ, რაკი წ. კ. საზოგადოების გამგეობას უნდა, რომ იმისი სკოლის მასწავლებლებმა მიიღონ მონაწილეობა სახელმძღვანელოების განხილვაში, მოწვევით უფრო ნაყოფიერათ გაკეთდება საქმე, ვიდრე მოხსენებას წარუდგენდით. ასეთი კრება ბევრს ხარჯს არ მოითხოვს. კარგი იქნება სხვა მასწავლებლებმაც რომ ამის შესახებ თავიანთი აზრი გამოსთქვან.

**კოტე.**

# ღია წერილი ბ. ი. გედევანიშვილს

ბ-ნო იოსებ!

ვაი თუ ისეთ ადგილას ცხოვრობთ, სადაც გაზეთიც კი არ მოდის და ამ წერილმაც უნაყოფოთ ჩაიაროს!

თვეზე მეტია, წერილებსა გწერთ, გიმუდარებით: მიშველეთ და ფული მომაშველეთ მეთქი; წასულ შაბათს დეპეშაც გაახელით, მაგრამ დღეს ოთხშაბათია და თქვენგან არაფერი ვიცი. ალბათ არ ბრძანდებით თბილისში და თუ ასეა, შემატყობინეთ, რომ სხვა წევრებს მაინც მივმართო, თუმცა იმათი იმედი სულაც არა მაქვს.

ერთ ჩემს მეგობარს წერილით შევჩივლე ჩემი გაჭირვება და ვსთხოვე გაეგო, აპირებთ ფულის გამოგზავნას, თუ არა, და იმან მომწერა: ბ. გედევანიშვილმა სთქვა: „ფული მალე გამოგეგზავნებათო“... ეს „მალე“-კი აგერ მეორე კვირაა გრძელდება.

როცა წერილს წერილზე გზავნი და დეპეშებში ფულს ახარჯავ,—სჩანს მიჭირს.

მართალია, ჯამაგირი მეძლევა, მაგრამ დღევანდელი სიძვირის მიხედვით იმდენად მცირეა, რომ ჩემ სენისათვის აუცილებლათ საჭიროსაც-კი ხშირად მოკლებული ვარ.

გამგეობას ფული არ აქვს, რომ თვეში 50 მან. გამომიგზავნოს ავადმყოფს? მჯერა! და არც მიკვირს, რადგან სიტყვას: „ფული არა გვაქვს“— 15 წელიწადია, შევეჩვიე, მაგრამ სექტემბერში სოხუმიდან ჩემთვის გამოგზავნილი 100 მანეთი, ხომ თქვენს რედაქციაში ინახება? იმის გამოგზავნას რაღა დიდი საქმე უნდა?

მართალია, დიდი საქმეები გაწევთ კისერზე, მაგრამ ჩემი „პატარა საქმეც“ ბარემ მიუმატეთ თქვენს დიდ საქმეებს და ნუ დამტანჯავთ!

როცა გაზაფხულზე გაზეთში ამოვიკითხე: „დრამატ. საზოგად. კრებამ დაადგინა ვ. შალიკაშვილს თვეში მისცეს 50 მან. დახმარება, სანამ ავად არისო“, მადლობის გრძნობამ ცრემლი გადმომწურა, მაგრამ იმავე წუთს ელვასავით თავს გამიელვა: რამდენი სისხლი გამიფუჭდება, სანამ იმ ფულს მივიღებდე-მეთქი და სასოწარკვეთილის ცრემლი შემაშრა. ასეც მოხდა! პირველ მაისიდან დღემდე იმ ფულიდან მივიღე მხოლოდ ასი მან. ისიც როგორ: ვერც მაშინ იმოქმედა თქვენზე ვერც წერილმა, ვერც დეპეშებმა, ვერც გაზეთებში ყვირილმა და ვერც ექიმების წერილებმა... მე თვითონ იძულებული ვიყავი თბილისში ჩამოვსულიყავი და მაშინაც მხოლოდ 25 მანეთით გამომისტუმრეთ. ოთხ დღის შემდეგ გადმოგზავნეთ 75 მ., ასე რომ იმ ფულიდან გზაში და თვით თბილისში დამეხარჯა 50 მ.

საზოგადო კრებას, რომ ეჭვით მაინც სცოდნოდა, რომ მის გულკეთილობას ჩემთვის ასეთი ტანჯვა მოჰყვებოდა, დარწმუნებული ვარ, კრება შემიბრალებდა და ამ ფულს ჩემთვის არ გადასდებდა. მე ეხლა ავადა ვარ. ვწევარ, ვშიშობ, ვაი თუ ავადმყოფობა გართულდეს, მუშაობა ვერ შევძლო, ჯამაგირიც მომისპონ და მხოლოდ იმ 50 მ. ამარა დავრჩე! ისიც თქვენი იმედით?

**ვალ. შალიკაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიის სახელსაქმო კომიტეტი

დაიბეჭდა და გამოვიდა კავკასიის სახელსაქმო კომიტეტის 1915 წლის მოქმედების ანგარიში. ეს კომიტეტი სახელმწიფო დაწესებულებაა, სათავეში უდგას მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებული კავკასიაში, ხოლო კომიტეტის საქმეებს ფაქტიურად განაგებს აგრონომი ა. ს. ფირალოვი. კომიტეტის დანიშნულება ერთობ ფართეა: მან თეორეტიულად და უფრო კი პრაქტიკულად ხელი უნდა შეუწყოს ყოველგვარ ხელსაქმობისა და შინაო-მრეწველობის გავრცელებას ამიერ-კავკასიაში. კომიტეტი არსებობს თბილისში და საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა სარგებლობა მოაქვს ამ დაწესებულებას ქართველი ხალხისათვის. კომიტეტზე ცოტა ფულიც არ იხარჯება: 1915 წლის შემოსავალ-გასავლის ბალანსი უდრის 116.748 მან. 29 კაპ. და ამ ჯამში მომეტებულად შედის მთავრობის მიერ ხაზინიდან და აგრეთვე კავკასიის საერობო თანხიდან გადადებული ფული.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ კომიტეტს საჭიროდ უცვნია განყოფილებათა დაარსება ყუბასა (ბაქოს გუბ.), დერბენტსა (დაღესტნის ოლქი), შუშასა (განჯის გუბ.), ალექსანდრეპოლსა (ერევნის გუბ.) და ოზურგეთში. თბილისის გუბერნიას, როგორც კომიტეტი ფიქრობს, თვით კომიტეტი გაუწევს სამსახურს. გარდა ამისა, კომიტეტის აზრით, საჭიროა აგენტურების დაარსება შემახასა, ხოჯალ-მახესა და ახალ ბაიაზეთში.

საზოგადოდ კომიტეტის ხელმძღვანელნი დიდ ყურადღებას აქცევენ ბაქოსა, განჯასა და ერევნის გუბერნიებს და რამდენადმე დაღესტნის ოლქებსაც. ეს ყურადღება, სხვათა შორის, გამოსახულია კომიტეტის სამხატვრო განყოფილების მუშაობაში, ხელსაქმობის შესახებ ცნობების შეკრებაში, საკომერციო კანტორების მოწყობაში, კომიტეტის ინსტრუქტორების მხრივ რჩევა-დარიგების გავრცელებაში, სალებავ პრაქტიკულ კურსების დაარსებაში, მაგალითად, იდრისსა, პირამსიანსა, კალაგასა, ზარგავაში და სხ.

კომიტეტის მოქმედება საქართველოში თუმცა მცირედია, მაგრამ ამ მცირედ მოქმედებასაც კარგი ნაყოფი გამოაქვს. კომიტეტის მოქმედება აქ უმეტესად საფეიქრო სკოლების დაარსებაში გამოიხატა. ასეთი ხასიათის სკოლები შემდეგს ადგილებში არსებობენ:

1) **მცხეთის** დედათა მონასტერთან არსებულ სკოლაში საანგარიშო 1915 წელს მუშაობდა 6 საფეიქრო მანქანა და 18 მოსწავლე ქალი იყო. სწავლა დაამთავრა 6 ქალმა ხელოსნის წოდების მიღებით. სწავლა დამთავრებულთაგან ორმა ქალმა—გუსტიაშვილმა და იმერლიშვილმა თავიანთი სახელოსნო გახსნეს სოფელში, ერთი (სისაური) მიწვეულ იქმნა ხელობის მასწავლებლად კავთისხევის სასოფლო სკოლაში. აღნიშნულ სკოლა-სახელოსნოში 187 სამუშაო დღე იყო და იქ დამზადებული საქონელი 660 მან 95 კაპ. გაიყიდა.

2) **ქარელის** საფეიქრო სკოლაში სწავლობდა 15 ქალი და მუშაობდა 5 საფეიქრო და 2 ხალიჩების საქსოვი მანქანა. სწავლა არავის დაუმთავრებია, რადგან მხოლოდ 2 წელიწადია, რაც სკოლა არსებობს. სკოლაში დამზადებული საქონელი გაიყიდა 286 მ. 79 კაპ.

3) იმავე **ქარელში** არსებობს კომიტეტისავე **სასწავლო-საჩვენებელი** სახელოსნო კალათებისა ამგვარივე ნივთების საკეთებლად. ომიანობის დრომ ამ სკოლის მუშაობას ხელი შეუშალა. მიუხედავად ამისა სახელოსნოში წლის განმავლობაში 152 დღეს სწარმოებდა მუშაობა. 10 სამუშაო დაზგა იდგა და 13 ვაჟი სწავლობდა. სახელოსნოში დამზადებული ნივთები 176 მან. 94 კაპ. გაიყიდა.

4) **ოზურგეთის** აბრეშუმეულობის საქსოვ საფეიქრო სკოლაში 20 მოსწავლე იყო და მუშაობდა 5 საფეიქრო და 1 ხალიჩების საქსოვი მანქანა, 2 აბრეშუმის სახვევი. სწავლა დაამთავრა 6 მოსწავლემ. სკოლაში დამზადებული საქონელი 477 მან. 50 კაპ. გაიყიდა. ამ სკოლის ნაყოფიერება ფრიად თვალსაჩინოა. 1914 სამოსწავლო წლიდან აქ სწავლა დამთავრებულ 12 ქალს სათითაოდ საკუთარი სახელოსნო აქვთ ამ ჟამად და თავიანთი შრომით ირჩენენ თავს.

5) **ყაზბეგის** (სტეფანწმინდა) საფეიქრო სკოლაში, რომელიც დაარსებულია პატივცემულ გ. ნ. ყაზბეგის მეცადინეობით, საანგარიშო წელს ომიანობის გამო სწავლა შეფერხებული იყო. სწავლობდა 19 ქალი; ოთხმა დაამთავრა სწავლა, რომელთაგან 1 ინსტრუქტორის თანაშემწედ დაინიშნა. წინა წლებში სწავლა დამთავრებულთაგან სამს სათითაოდ საკუთარი სახელოსნო აქვს სტეფანწმინდაში, ხოლო ერთს გერგეთში.

6) **საგარეჯოს** საფეიქრო სკოლა, სოფლის ყრილობის სურვილის თანახმად, დაარსა კომიტეტმა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობით 1915 წლის ღვინობისთვეში. სოფელმა სკოლის მოსაწყობად იმ თავითვე გადასდვა 200 მან. და აგრეთვე უფასოდ უთმობს სკოლას შენობას განათება-გათბობით და მოსამსახურით. კომიტეტი მხოლოდ ჯამაგირს აძლევს მასწავლებელს ქ-ნ ა. კაპანაძეს. დანარჩენი ხარჯები იმ თავითვე იკისრა სამეურნეო საზოგადოებამ. ამ რიგად ამ სკოლას 2 მომვლელ-პატრონი ჰყავს—სახელსაქმო კომიტეტი და ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება. გახსნისათანავე სკოლას 150 ქალი მოაწყდა სასწავლად, მაგრამ განსაზღვრულ ნორმაზე მეტის მიღება შეუძლებელი შეიქმნა. საანგარიშო 1915 წელს მხოლოდ 44 სამუშაო დღე იყო და 4 საფეიქრო მანქანა იდგა. საგარეჯოს სოფლის საზოგადოება დიდის თანაგრძნობით ეპყრობა ამ სკოლას და იმის წარმატებას დიდად ხელს უწყობს.

# მოწოდება

ომისაგან დაზარალებულ და ჯარისკაცთა და მათის ოჯახებისათვის ხელმწიფე იმპერატორის უმაღლეს მფარველობის ქვეშ მყოფი საზოგადოება მოუწოდებს ყველას, დაეხმარნენ ომში დაზარალებულ ჯარის კაცთა და მათს ოჯახებს.

ვინ იცის, რამდენი ასი ათასი კაცი დაასახიჩრა და უმწეოდ დასტოვა ამ ომმა. მათთან ერთად წვალობა მოელით იმათ, ვისაც ეს ჯარის კაცნი ასაზრდოებენ.

საჭირო არც კია ბევრი ილაპარაკოს კალმა ამ დასახიჩრებულთა შესახებ. დაე, ყველამ წარმოიდგინოს საერთო მწუხარება მთელის რუსეთისა და მიაწოდოს თავისი წვლილი. ამ ტანჯვაში მყოფთა მაგიერ გთხოვთ და იცოდეთ, რომ მათს უკან დგას დაწყლულებული იესო, ეკლის გვირგვინიანი.

ქრისტეს გულისთვის, სამშობლოს გულისთვის, მოწყალება გაიღეთ, მართლმადიდებელნო.

# დაბა-სოფლები

**სოფ. მეჯვრისხევი** (გორის მაზრა). კარგა-ხანია, რაც ამ სოფელში ორკლასიანი სამინისტრო სკოლა არსებობს. სოფელი მას უვლის, პატრონობს, არაფერს აკლებს. სკოლა-კი პოლიტიკან მასწავლებელთა წყალობით, თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს.

1881 წ. სასწავლო გეგმა ჩვენს კურთხეულ სახელმწიფოში ბევრისათვის დღესაც სანუკვარ ოცნებას შეადგენს. თუმცა ამ გეგმის თანხმად კავკასიის არა-რუსთა სკოლებში რუსული ენა პირველ წლის მეორე ნახევრიდან უნდა დაიწყონ და კვირაში ხუთი ნახევარ საათიანი გაკვეთილი უნდა მოანდომონ, მაგრამ მეჯვრისხევში ეს სამი წელიწადია, მაგვარს ვერაფერსა ვხედავთ.

ამ სკოლაში რუსულ ენას პირველ განყოფ. ოქტომბრიდანვე იწყებენ, რასაც კვირაში თორმეტი გაკვეთილი აქვს. სამშობლო ენას კი მხოლოდ 6. ასევეა მეორესა და მესამე განყოფილებებშიც, მეოთხესა და მეხუთეში ხომ სამშობლო ენა თითქმის გამოძევებულია, კვირაში მხოლოდ 2—3 გაკვეთილი აქვს დათმობილი. სამშობლო ქვეყნის ისტორიასა და გეოგრაფიის შესახებ ლაპარაკიც მეტია. სამაგიეროდ, უცხო ქვეყნის ისტორია-გეოგრაფიას „ენერგიულად" ასწავლიან, როგორც თუთიყუშებს.

დასვენების დროს მოწაფეებს **სამშობლო ენაზე ლაპარაკი სასტიკად აკრძალული აქვთ**. შვიდი წლის ბავშვებს რომ ქართულად სალამი მისცეთ, უხეირო რუსულით გიპასუხებსთ: „ზრასტი" ან „დოსვიდანიაო". მასწავლებლებს რომ ჰკითხოთ, რაში გამოიხატება თქვენი შრომაო, გიპასუხებენ: შეხეთ, რუსულს რა მშვენივრად ვასწავლითო!..

სამი წლის წინად ამ სკოლის ზედამხედველად ბერძენი იყო, რომელსაც ქართულისა არაფერი ეყურებოდა, მაგრამ მის დროს მოწაფეებისათვის სამშობლო ენაზე ლაპარაკი არავის აუკრძალავს და სწავლაც 1881 წ. გეგმის თანახმად სწარმოებდა. მაგრამ დრონი იცვალნენ, ყველასგან პატივცემული სახ. სკოლათა ინსპექტორი სემიონოვი გარდაიცვალა და მის ადგილზედ ცნობილი პოლიტოვი დანიშნეს, რომელმაც თავისი პოლიტიკანობით სამი წლის განმავლობაში ქართულ სკოლებში სამშობლო ენა მეტად შეასუსტა და მის მოსპობასაც კი ჰლამობდა, რაც თავის დროზედ არა ერთხელ იყო აღნიშნული ჩვენს გაზეთებში. მაგრამ პოლიტოვს ქართული ენის ამოფხვრა ვეღარ დასცალდა, რადგანაც წელს თებერვალშივე ყარსის ოლქისკენ გაისტუმრეს.

პოლიტოვმა მეჯვრისხევის სკოლას ბერძენი მოაშორა და მის ადგილზედ ქართველი გადმოიყვანა—ივ. მთიულიშვილი, რომელსაც განსვენებული სემიონოვი სრულებით ადგილს არ აძლევდა. მისი აქ მოსვლა და სამშობლო ენის დაჩაგვრაც ერთი იყო. მის თანაშრომლად ამ „დიად მოღვაწეობაში" მეორე ქართველიც გამოგზავნა, ეკატ. გიორგობიანი. ამ ორმა მასწავლებელმა ერთმანეთს ჯიბრობაც დაუწყეს, თუ ვინ ვის აჯობებდა... ასეთ „მოღვაწეობით", რასაკვირველია, მათ მთავრობის ყურადღება დაიმსახურეს და პოლიტოვის წყალობის ღირსნიც გახდნენ. ხუმრობა საქმე კი არ გეგონოთ ინსპექტორის წყალობა, იგი ხუთ თუმანს მაინც უდრის.

შარშან „განათლების" მეექვსე №-ში წერილი მოვათავსე, სადაც დაწვრილებით ავღნუსხე მათი საქმენი საგმირონი, მეგონა, ეხლა მაინც შერცხვებათ და გასწორდებიან მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ტყუილად კი არ ამბობს ქართული ანდაზა: კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო. ჩემმა წერილმა ეს გმირები მთავრობის თვალში „აამაღლა" და უფრო თამამად დაიწყეს მოქმედება. შარშან მთავრობამ ეკ. გიორგობიანი*) მცხეთაში გადაიყვანა, სადაც თავის პოლიტიკანობით უკვე სახელი გაითქვა და, მოწაფეების გარდა, მშობლებსაც კი ურჩევს, თქვენს შვილებს ოჯახში რუსულად ელაპარაკეთო...

ეკ. გიორგობიანის ქალის ნაცვლად მეჯვრისხევის სკოლაში გადმოიყვანეს ქ-ნი თამარ ცერცვაძისა და პირველი განყოფილება ჩააბარეს. სექტემბერი მიიწურა, ოქტომბერიც დადგა, მაგრამ ახალ მოწაფეების რუსულის სწავლება ჯერ ფიქრადაც არ მოსდიოდა. მთიულიშვილს მოაგონდა, რომ გასულ წელში ამ დროს მისი ერთგული გიორგობიანისა ბავშვებს უკვე რუსულად ეპაჭიკებოდა; მოაგონდა ისიც, გიორგობიანის ქალი თუ როგორის ენერგიით მთელის თვის განმავლობაში ბავშვებს სულ ინსპექტორის დასახვედრ სალამს ამეორებინებდა: „Здравствуйте Ваше Высокородіе!" რაც პოლიტოვს ძალიან მოეწონა; მოაგონდა ყველა ესა და გული დაწყდა...

ბოლოს ნაღვლიანმა მთ-შვილმა თამარს სთხოვა: არიქა, რუსული ეხლავ დაიწყეთ, თორემ პოლიტოვი გაგვიწყრებაო, მაგრამ ცივი უარი მიიღო. ეს მთ-შვილს ძაან ეუცხოვა და დაემუქრა: თუ ჩემს მოთხოვნილებას არ აასრულებ, პოლიტოვს მივწერ და ოცდა ოთხ საათში აქედან გაგაძევებო. მას მეორე მასწავლებელიც მიემხრო, ქ-ნი მინ. კ—ძე, და „ურჩ" ცერცვაძის ქალს ისეთი დღე დააწყეს, რომ შენი მტერი... გადაეკიდნენ, სწერეს... ბოლოს საქმე იქამდე გაუჭირეს, რომ ქ-ნი ცერცვაძისა იძულებული გახდა თავისდა უნებურად, რუსული ენის სწავლება ვადაზე ადრე დაეწყო, მაგრამ მთიულიშვილი მაინც უკმაყოფილო დარჩა, რატომ ოქტომბრიდანვე არ დაიწყოო.

წელს სექტემბრიდანვე „ურჩმა" ცერცვაძის ქალმა, როგორც იყო, თავი დააღწია მთ-შვილის ინკვიზიციას და სოფ. ხელთუბანში გადავიდა, ხოლო მის ადგილზე ხელთუბნელი მასწავლებელი გადმოიყვანეს.

ბაგრატ ბეთანელი.

**ს. მეჯვრის-ხევი.** ჩვენ, მეჯვრისხეველნი გარეთ მტერს ვუყურებთ თვალებს და შინ მოყვარეს. ვამაყობთ: ამა და ამ საკულტურო დაწესებულებათა პატრონნი ვართო. დიახ, სხვათა შორის, გვაქვს „ქსენონი", „წიგნთსაცავ-სამკითხველო". „ქსენონი"... მკითხველს ეგონება, სათავეში ექიმი, ბებია ქალი უდგათო, ავადმყოფთა კრაოტ-ლეიბებით იქნება შემკულიო, მედიკამენტებით საკმარისათ სრულიაო და სხვა. მოსტყუვდება მკითხველი, თუ ასრე იფიქრებს. ყოველივე ეს იყო ერთ დროს და დღეს აღარ არის. დღეს ქსენონის გამგე—უმფროსი მხოლოდ რუსი ფერშალია, და მოიხსენებათ საზოგადოთ ფერშლის საექიმო ცოდნის ავლადიდება. ამ ქსენონის ეკონომიურ ცხოვრებიდამ საზოგადოებამ ბევრი არა იცის, რადგანაც კრებები ანგარიშის საცოდნელად არ იმართება ხოლმე. გაგონილი აქვს საზოგადოებას, რომ ქსენონის ფულს ვიღაც შეხებია და დაუხარჯავს, იცის ისიც, რომ ეს საქმე გამოსააშკარავებელი იყო, მაგრამ, არავისა სურს თავს იდვას ეს ტალახიანი საქმე. იცის საზოგადოებამ, რომ გლეხკაცობა უკლებლივ იხდის თავის ხვედრ ხარჯს „ქსენონისას", ისიც კარგათ იცის, რომ მომეტებულ ნაწილს აზნაურობისას არც ძალით და არც ნებით სურს თავისი წვლილი მიაწოდოს ამ ქსენონს. ეს უკანასკნელი გარემოება დიდათ აწუხებს თავმჯდომარეს „ქსენონის" გამგეობისას ქ. ეგ. ერისთავისას. ეს ადამიანი ყოველ ღონისძიებას ღონობს მოიმხროს აზნაურობა ამ საქმეში და შეძლებისა დაგვარათ შეიტანინოს წვლილი, „ნედოიმკის" პატივებაც კი აღუთქვა, მაგრამ საქმე საქმეთ დარჩა და დღეს შემნახველნი „ქსენონისა" თითქმის მარტო გლეხკაცნი არიან. სასურველია, გამგეობაში ცოტათი თუ ბევრათ ენერგიულნი წევრნი იყვნენ არჩეულნი, თორემ წევრის „დიახ" და „ბატონო" საქმეს ვერ წასწევს წინ.

ჩვენი სამკითხველოსი, რომელიც ამ ზაფხულს ასრე შეამკო ერთმა გამგეობის წევრმა „საქართველოს" ფურცლებზედ, თითქმის ორი წელიწადია, არა ვიცით-რა. 1915 წლის ზაფხულში ბ. გრ. ბურჯულაძის თანადასწრებით მოხდა წევრთა საზოგადო კრება. მაშინ ვცანით საქმის ვითარება. ბ. ბურჯულაძემ თვისი შთაბეჭდილებანი გაუზიარა საზოგადოებას, შთაბეჭდილებანი, სამწუხაროდ, არა სასურველნი. შენიშვნები - დარიგებანი სახელმძღვანელოთ მისცა გამგეობას. ეს უკანასკნელი საზოგადო კრება იყო წევრთა. მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო, რამოდენიმე წევრმაც საბჭოსამ და გამგეობისამ თავი დაანება თანამდებობას და მათ ადგილზედ არავინაა არჩეული. სამკითხველოს წევრნი საზოგადო კრების დანიშვნას მოითხოვს, საქმის ვითარების გაცნობას, ახალს არჩევნებს. გამგეობა მოვალეა თვისი ნატვრითი ვალი შეასრულოს საზოგადოების წინაშე—დანიშნოს კრება, წარუდგინოს საზოგადოებას ანგარიში. საზოგადოებამვე არ იცის, რა იქმნა ის ფული, რომელიც ამ წლის ზაფხულში მოგროვდა. ჩვენ შემწირველნი და წევრნი კი დაინტერესებულნი ვართ, თუ რას მოხმარდა ის ფული. ყველ ვე ეს მართველობის ვალია გვაუწყოს სამკითხველოს წევრთა და მაშინ საქებურს ქებით მოვიხსენიებთ. რათ ახანებს გამგეობა, რათ ერიდება საზოგადო კრებას? ჩვენთვის საინტერესოა საცოდნელათ.

ვინმე თორელი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი


# ბნედისა ანუ ავი-ზნის წამლობა

ვინც ამ ავადმყოფობით იტანჯება და რაც უნდა მორეული ჰქონდეს სენი, ავადმყოფი დიდი იქნება თუ პატარა, ვარჩენ და საფუძვლიანად ვათავისუფლებ. ავად-მყოფთ შეუძლიანთ ადრესის გასაგებათ მიმართონ რკინის გზის სადგურის უფროსს ჰაითურის შტოზე სადგურ რკვიაში. ე. კაჭარავა.

(გ 116-)


# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. № 19, | 3.20 | დღ. |
| „ „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, 8 „ | 58 „ | დილ. |

თფილისში მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 6 „ | 24 „ | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. № 3***, | 8.10 | დილ. |


ღვინის საწყობი

# ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

# კახური ღვინო

განთვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

# სავაჭრო სახლი „ძმ. სესიევები და ამხ."

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

საუკეთესო კახური

# ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

# ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ქ. ბაქოში

# ღვინით ვაჭრობა „მელაანი"

თ. ი. ხ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

„სავაჭრო სახლი" (საწყობი)

# ერ. ივ. ჭავჭანიძისა და — ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იხყიდება პარტიობით ყოველნაირი საგალანტერეიო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიშიგკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.

(101—წ.)

# ძირს ტანჯვა, ძირს საერთო სისუსტე, ძირს სქესობრივი უძლურება!

ვურჩევთ ყველას, ვინც საერთო სისუსტეს გრძნობს, სქესობრივად უძლურია—შეიძინოს ახლად გამოგონილი საშუალება პილულები **მოლეციტინი** (დასალევი) ნებადართულია მთავარ სამედიცინო საბჭოსაგან № 801.

— მოლეციტინი საშუალებაა სისხლ-ნაკლებობისათვის, უმადობისათვის, რახიტის, ნევრასთენიის, ცენტრალურ ნერვთა სისტემის ანთების წინააღმდეგ.

— მოლეციტინი მოწონებულია ბევრ ექიმისაგან, როგორც აღმადგენელი ორგანიზმისა და ავადმყოფის გამომბრუნებელი.

— მოლეციტინი უვნებელი საშუალებაა და ჰრგებს არა მარტო ავადმყოფობის დასაწყისს, არამედ ავადმყოფობის გაარჯლების შემდეგაც.

— მოლეციტინი მშვენივრად მოქმედებს ვერცხლის წყალით და სხვა პრეპარატებით სიფილისის წამლობის დროს დაუძლურებულებზე. აღადგენს ძალას, მადას ჰმატებს, ნერვებს ამშვიდებს, ტეხას და წელის ტკივილს სპობს.

— მოლეციტინი სპობს უძილობას, ყრუობას, ყურებში წივილს, ნევრალგიურ ტკივილებს, სუნთქვის შეკვრას, აჩერებს თმის ცვენას.

— მოლეციტინი კარგად მოქმედებს ნერვების აშლილობაზე საზოგადოდ და უმთავრესად ქალების ავადმყოფობაზე.

— მოლეციტინი ჰრგებს აგრეთვე სპაზმოდიულის ასტმატიურ მოვლენების დროს და საზოგადოდ ნერვიულ ავადმყოფობის დროსა.

— მოლეციტინი კარგად მოქმედებს აგრეთვე ქალების თვიურების მოსპობის დროს და ანელებს გულის ფრიალს, თავსბრუ ხვევას, ოფლიანობას, უძილობას.

— მოლეციტინი ჰშველის ორსულობის დროს, სპობს უგუნებობას (რაც ძლიერ ხშირია) და გულის რევასა.

— მოლეციტინი კარგად მოქმედებს ონანისტებსა და სქესობრივად უძლურებზედ.

— მოლეციტინი მარგებელია როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის.

— მოლეციტინი ჩქარა იკარგება ორგანიზმში და არ მოქმედებს კუჭზე.

— მოლეციტინი ძლიერ ადვილი სახმარი წამალია, ყველას შეუძლიან დამოუკიდებლად იწამლოს ყველგან, სადაც უნდა იყოს.

თითო კოლოფის ფასი 3 მან. სრული კურსი წამლობისა საჭიროებს 5-დან 10 კოლოფამდე. იგზავნება ფასდადებით 5 მან. ზეის მიღების შემდეგ. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ რ. ი. შმიდტთან. Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3. თხინვალის ქუჩა № 12. მე-2 სამ. უბანი გოლოვინის პროსპ. მამადავითის ქუჩის ახლოს.

(თ.)

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძმით, ხამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა. მიგვიღია საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.